# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


შაბათი, 25 ნოემბერი. 2017 წ. №239-240 (8376-8377), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## ლია ელიავა: საქართველოდან უკონტროლოდ გარბის კაპიტალი, რაც სავალუტო კრიზისს წარმოშობს



③

## აფხაზეთში რუსეთის მიმართ შიში მატულობს, ამას ემატება ისიც, რომ იქ მცხოვრებ სომხებსა და რუსებს რუსეთის შემადგენლობაში ცხოვრება სურთ

⑤

ისევ ჯოხთაბერიძის მუზეუმ-გალერეის შესახებ

## ქართული არწივი რუსთაველზე



⑥

## ძმები კარბელაშვილები – „კარბელაანთ კილოს“ დამცველი „მეციხოვნეები“

⑦



## პატრიარქმა თავის მოსაყდრედ სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო მუჯირი დაასახელა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიაქმა ილია მეორემ თავის მოსაყდრედ სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო მუჯირი წარადგინა.

**„სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ დადგენილია ყოვლადუსამღვდელოესობა მიტროპოლიტი, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო მუჯირი“,** — ნათქვამია ილია მეორის ბრძანებაში, რომელიც მან ქაშუეთში, სადღესასწაულო წირვის დაწყებამდე წაიკითხა. პატრიარქმა მრევლს მიმართა და გიორგობის დღესასწაული მიულოცა.

# SOS!

# ბინაში ჩაკეტილმა ტერორისტებმა კარის გახსნასა და იარაღის ჩაბარებაზე უარი განაცხადეს

მთავარი პროკურატურა ტერორიზმის ბრალდებით დაკავებულისთვის პატიმრობის შეფარდებას ითხოვს და 22 ნოემბრის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით ახალ განცხადებას ავრცელებს:

**„საქართველოს მთავარმა პროკურატურამ უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებისა და ტერორისტულ საქმიანობაში მისი დახმარების, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის ტერორისტული მიზნით მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარებისთვის ს.დ.-ს ბრალი წარუდგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 3231-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 328-ე მუხლით. გამოძიებით დადგინდა, რომ ს.დ. სამ თანამზრახველთან ერთად ქ.თბილისში ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში დაბინავდა, სადაც ის და მისი თანამზრახველები მართლსაწინააღმდეგოდ, ტერორისტული მიზნით შეძენილ დიდი რაოდენობით ფეთქებად ნივთიერებებს, საბრძოლო მასალას, ასაფეთქებელ მოწყობილობებს და ცეცხლსასროლ იარაღს ინახავდნენ. სამართალდამცველებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ს.დ. ქ.თბილისში, 2017 წლის 21 ნოემბერს დააკავეს. დაკავებისას მას მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო ვაზნები აღმოაჩნდა. ს.დ.-ს დაკავების შემდგომ, ქ.თბილისში ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში მყოფმა სამმა ტერორისტმა უარი განაცხადა სამართალდამცველთა მოთხოვნაზე - ბინის კარის გახსნასა და იარაღის ჩაბარებაზე. მათ ააფეთქეს ხელყუმბარები და ცეცხლსასროლი იარაღებიდან სამართალდამცველების მიმართ გახსნეს ინტენსიური ცეცხლი, რა დროსაც ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმის ხუთმა წევრმა, ხოლო ერთი მათგანი მიღებული დაზიანების შედეგად გარდაიცვალა. ს.დ.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 3231-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, ტერორისტული მიზნით) და 328-ე მუხლით (უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანება და ტერორისტულ საქმიანობაში მისი დახმარება), რაც სასჯელის სახედ და ზომად 10-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. საქმეზე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის მესამე ნაწილით, 3231-ე მუხლის პირველი ნაწილით და 328-ე მუხლით“,** — ნათქვამია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.



## სპეცოპერაციის დღეს დაკავებულ რუსეთის მოქალაქეს პატიმრობა შეეფარდა

22 ნოემბერს თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულ პირს აღკვეთის ღონისძიების სახით სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა.

ჩვენი ციცერონა პრეზიდენტი

# ...რეალობის მიამიტური სათვალეებით ყურება!



**საქართველოს პრეზიდენტი ორი დღის წინათ თბილისში, გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებულ ანტიტერორისტულ ოპერაციას ეხმაურება.** გიორგი მარგველაშვილი პირველ კომენტარს აკეთებს თბილისში ჩატარებული ანტიტერორისტული ოპერაციის შემდეგ. პრეზიდენტი იმ გლობალურ პრობლემებზე საუბრობს, რომელიც ქვეყანას ტერორიზმის კუთხით აქვს.

**„ის მიამიტური განცდა, რომ საქართველო არსებობს იმ რეალობაში, როდესაც არ არსებობს გლობალური რისკის მატარებელი საშიშროებები, არ არსებობს საშიშროება, რომ რომელიღაც კრიზისი გადაიზარდოს ბევრად უფრო რთულ ვითარებაში, რომ საქართველოს არ სჭირდება კოორდინირებული პოლიტიკური მოქმედება ასეთ ვითარებაში, არა მხოლოდ ოპერატიულ ნაწილში, ოპერატიულ ნაწილში დიდი მადლობა გადავუხადე იმათ ვინც მოქმედებდა. მაგრამ, კოორდინირებული პოლიტიკური მოქმედება და რომ არ არის უშიშროების საბჭო და სხვა მსგავსი ინსტიტუტები, რომელიც კონტროლს გაუწევდა რთულ ვითარებას და დააზღვევდა იმ რისკს, რომელიც ყოველთვის არის ასეთ ვითარებაში, რომ კიდევ უფრო სერიოზულ პრობლემაში გადაიზარდოს ასეთი შემთხვევები, ალბათ ამ მიამიტურ განცდებს, რომელსაც არ ვიცი რა საფუძველი გააჩნია, ალბათ ამ მიამიტურ განწყობებს ნათელი პასუხი გაეცა.**

**შეაფასეთ რეალობა და კიდევ ერთხელ შეხედეთ რეალობას. არ გინდათ მიამიტური სათვალეებით ყურება რეალობასთან მიმართებაში, რა რისკები და გამოწვევები აქვს ჩვენს ქვეყანას,“** — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ᲐᲒᲐᲨᲔᲜᲐᲗ ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ, ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ! — ᲔᲡ ᲠᲐ ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲜᲒᲕᲘᲛᲐᲠᲢᲔᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ. ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲣᲠ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲐ. ᲑᲠᲐᲕᲝ! ᲩᲕᲔᲜᲜᲐᲘᲠᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲰᲧᲐᲕᲡ!

ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲕᲔᲬᲘᲚᲛᲐ ᲡᲢᲘᲚᲛᲐ ᲛᲝᲒᲕᲮᲘᲑᲚᲐ. ᲣᲙᲔᲗ ᲗᲕᲘᲗ ᲪᲘᲪᲔᲠᲝᲜᲘᲪ ᲕᲔᲠ ᲘᲢᲧᲝᲓᲐ!



## საქართველოს პრემიერი ფრანგ კოლეგას ესაუბრა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ ედუარდ ფილიპს შეხვდა,** — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური ავრცელებს. საუბრის მთავარი თემები იყო ორმხრივი თანამშრომლობა, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი და აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატის კიდევ უფრო გაძლიერება.

ყურადღება დაეთმო საქართველოში განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებს. აღინიშნა სხვადასხვა სფეროში საფრანგეთისა და საქართველოს თანამშრომლობის განვითარების პოზიტიური დინამიკა. მხარეებმა ასევე ისაუბრეს „ღია მმართველობის პარტნიორობის“ შესახებ, რომლის თავმჯდომარეობა საქართველომ საფრანგეთისგან ცოტა ხნის წინათ გადაიბარა. გიორგი კვირიკაშვილმა ფრანგ კოლეგას საქართველოს თავმჯდომარეობის პრიორიტეტები გააცნო. პრემიერ-მინისტრმა ედუარდ ფილიპმა აღნიშნა, რომ საფრანგეთი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს.

## გიორგი კვირიკაშვილი პეტრო პოროშენკოს შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ბრიუსელში უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს შეხვდა**

მხარეებმა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ხვალინდელი სამიტის, ორმხრივი თანამშრომლობისა და საქართველოსა და უკრაინის ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების შესახებ ისაუბრეს. შეხვედრის დასაწყისში მხარეებმა ხაზი გაუსვეს ორ ქვეყანას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებს და სტრატეგიულ პარტნიორობას.

**„მოხარული ვარ ჩემს პარტნიორსა და ძვირფას მეგობართან შეხვედრით. სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ დღეისათვის ჩვენი ურთიერთობები აქტიურად ვითარდება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში. ჩვენი პირადი ურთიერთობები, რომელსაც მე ძალიან ვაფასებ, მათ შორის, მოკლე ტექსტური შეტყობინებით საფეხბურთო მატჩის შედეგების მილოცვა, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ურთიერთობების განვითარებას აქვს უზარმაზარი პერსპექტივები“,** — განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

ორმხრივი ურთიერთობების განვითარების პოტენციალზე ისაუბრა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა. **„მივესალმებით ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ მზარდ ურთიერთობებს. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დღეს ჩვენ აქ ერთად ვიმყოფებით. ჩვენს ქვეყნებს აქვთ საერთო ამბიციები, ევროპული და ევროატლანტიკური მიზნები, რაც ჩვენს საშინაო და საგარეო დღის წესრიგს განსაზღვრავს. ჩვენ აქ ვიმყოფებით, რათა განვიხილოთ ჩვენი შემდგომი ურთიერთობები, რომელსაც განვითარების გაცილებით უფრო ფართო და ღრმა პოტენციალი აქვს“,** — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მხარეებმა ასევე ისაუბრეს რეგიონში არსებულ გამოწვევებზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე განვითარებულ მოვლენებზე და ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი ურთიერთმხარდაჭერა დაადასტურეს.

## შვედეთი ჩვენი მეგობარია

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ბრიუსელში შვედეთის სამეფოს პრემიერ-მინისტრ სტეფან ლუვენს შეხვდა.**

მხარეებმა ორმხრივი ურთიერთობების ძირითად საკითხებზე, სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გააქტიურებასა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის განსახილველ თემებზე ისაუბრეს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა შვედეთის სამეფოს მთავრობას მადლობა გადაუხადა განვითარების თანამშრომლობის ფარგლებში გაწეული მხარდაჭერისთვის.

მხარეებმა ასევე დადებითად შეაფასეს ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურება. აღინიშნა, რომ 2017 წლის 9 თვის მონაცემებით, შვედეთთან სავაჭრო ბრუნვა 38,5%-ით გაიზარდა. პრემიერ-მინისტრმა შვედ კოლეგას ასევე მიაწოდა ინფორმაცია საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემოს, განხორციელებული რეფორმებისა და საერთაშორისო რეიტინგებში ქვეყნის მოწინავე პოზიციების შესახებ.

მხარეებმა ასევე ყურადღება დაუთმეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას. შვედეთის სამეფოს პრემიერ-მინისტრმა დააფიქსირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მტკიცე მხარდაჭერა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

# ტერორისტული ორგანიზაციებისთვის ადამიანებს იბირებდნენ!

**საქართველოში ხდებოდა კონკრეტული ტერორისტული ორგანიზაციებისთვის ადამიანების გადმობირება (რეკრუტირება). ეს პროცესი შეჩერებულია, თუმცა ზოგადად, საფრთხეები არსებობს,** — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ახალმიღებულ კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისას. ირაკლი კობახიძემ განმარტება გააკეთა იმ ცვლილებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებასთან დაკავშირებული მე-16 მუხლიდან სიტყვებს: „სახელმწიფო უსაფრთხოება“, „დანაშაულის თავიდან აცილება“ და „მართლმსაჯულების განხორციელება“ ამოვიღებთ.

**„დღევანდელ რედაქციაში აღნიშნულია, რომ რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიზღუდოს, თუ ეს სხვათა უფლებების დაცვას ემსახურება. ვენეციის კომისიის რეკომენდაცია იყო, რომ ჩარევის საფუძველი უფრო განგვევრცო. შევიდა შესაბამისი ცვლილებები, ნორმა ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა და აღინიშნა, რომ ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, დანაშაულის თავიდან აცილების, ჯანმრთელობის დაცვის, მართლმსაჯულების განხორციელების ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით. რაც შეეხება „დანაშაულის თავიდან აცილებას“ და „მართლმსაჯულების განხორციელებას“, ეს მიზნები ისედაც არის მოცული საზოგადოებრივი უსაფრთხოების შესახებ ჩანაწერით. ჩვენ გვინდოდა, ამ მუხლში დამატებით „სახელმწიფო უსაფრთხოების“ მოხსენიება და მიზეზი იყო ის, რომ ძალიან ხშირად რწმენა გამოიყენება როგორც საბაბი და ინსტრუმენტი, მათ შორის გარკვეული ტერორისტული განზრახვის განხორციელებისთვის. მოგეხსენებათ, საქართველოში ხდებოდა კონკრეტული ტერორისტული ორგანიზაციებისთვის ადამიანების რეკრუტირება, რაც ძალიან სამწუხარო მოვლენა იყო. ეს პროცესი შეჩერებულია, თუმცა ზოგადად, საფრთხეები არსებობს. აქედან გამომდინარე, გვინდოდა, დამატებით მითითება ყოფილიყო სახელმწიფო უსაფრთხოების თაობაზე, თუმცა ვენეციის კომისიის რეკომენდაციაა, რომ ეს ჩანაწერი ამოვიღოთ, რათა ტექსტი სრულ შესაბამისობაში იყოს ევროპული კონვენციის შესაბამის ჩანაწერთან“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.



**⊙ წერილი რუსთავიდან**

# უმადურობა დიდი ცოდვაა!

ამჯერად კალამი ხელთ აგვაღებინა დიდებული, გულანთებული მამულიშვილის, ქალბატონი ლონდა მდივნის, მართლაც შემართულმა წერილმა, რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 17 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა სათაურით: „სამარცხვინო ხარ!..“ წერილის ავტორი, კიდევ ერთხელ, ნილაბს ხდის სინდის-ნამუს გარეცხილ გიგი უგულავას, თბილისის ყოფილ მერს, ქვეყნის ძარცვა-დაყაჩაღებით გამდიდრებულ, გაზულუქებულ, გაამპარტავნებულ ნაციონალების ვაი-ლიდერთაგანს.

მიუხედავად არჩევნებში და არა მარტო არჩევნებში სამარცხვინო დამარცხებისა, მაინც არ ცხრებიან?! ქვეყნის ამომგდებ, მაოხარ მიშას გაცვეთილ ჯიბეში ჩარჩენილი უგულავები, ახლა თბილისის საკრებულოში შემძვრალნი დათუკიშვილ-ნადირაშვილ-გაბაშვილ-ხაბეიშვილები და ძმანნი მათნი, საკრებულოს სხდომებზე შხამსა და ბოლმას ანთხევენ და იმათ ვერაგობას საზღვარი არა აქვს.

ასევე ვერა და ვერ ისვენებენ პარლამენტარი ნაცები. ისინი შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან, ოღონდ დიდ მეცენატს, საქართველოს უპირველეს ქველმოქმედს ბიძინა ივანიშვილს რომ არ უმტრონ, უმუხთლონ, ისე ცხოვრება არ შეუძლიათ. მათ არ მოსწონთ ის სიკეთე, ის სამმილიარდიანი ქველმოქმედება, ქვეყნისთვის უმძიმეს ჟამს მამულისა და ერის გადასარჩენად უშურველად რომ გაიღო, არც ის ახალ-ახალი სიკეთეების დანახვა უნდათ, რასაც ბატონი ბიძინა, მიუხედავად ამ უსამართლო, ბინძური ცილისწამებისა, თავის ხალხისთვის სამომავლოდ გეგმავს და აკეთებს კიდეც.

უკვე ყელში ამოვიდა არ შემდგარი, ორ სამ-კაციანი ვაი-პარტიების, ვაი-ლიდერების, ჟანგიანი პარლამენტის ყოფილი ლიდერის დავით ბაქრაძის, მისი ამქრის და კიდევ ენატლიკინა შალვა ნათელაშვილის, გუგავას, ჭია ჭიაბერაშვილის, ჯაფარიძეების, გოცირიძეების, ვაშაძეების, წიკლაურების, ნიკანორ მელიას, სალომე სამადაშვილის, ზაზა ბიბილაშვილის და მისთანების უტიფარი ტყუილები. გვინდა ვურჩიოთ ამ არამზადებს, რომ, მოიქცნენ ისე, როგორც პაატა ბურჭულაძე და მოწყდნენ აქაურობას. ხოლო ურეიტინგო პარტიებს „მეგობრულად“ ვთხოვ, შეეშვნენ ისედაც შეჭირვებული ადამიანების ნერვებზე თამაშს, ქართველმა ხალხმა ისედაც ბევრი გადაიტანა.

კარგი იქნება პარლამენტი თუ მიიღებს კანონს ცრუ ბრალდებათა წინააღმდეგ. ცილისმწამებლები აუცილებლად უნდა დაისაჯონ.

ჩვენ არ უნდა ვაპატიოთ ვიგინდარებს დიდი დავით აღმაშენებლის ძეგლის დედაქალაქის ცენტრიდან თავხედური გატანა. სამწუხაროდ, ვერც „ოცნებას“ ეყო ვაჟკაცობა მისი თავის ადგილზე დასაბრუნებლად.

ვერა და ვერ დავიჯერებთ, რომ ამ არაკაცებმა არ იციან, ან ვერ ხედავენ ქვეყანა უკეთესობის გზას რომ ადგას, რაც მთავარია, არის მშვიდობა, წინსვლა, იგრძნობა სიკეთე, შენდობა, ურთიერთპატივისცემა... ბოდიშის მოხდის ნაცვლად ნაციონალები ცილისმწამებლურ, თავიანთ მანკიერ ზრახვებს თავს ახვევენ საზოგადოებას და გვიჩიჩინებენ, დავივიწყოთ ის ყაჩაღური, ქვეყნის დამანგრეველი, ნაციონალური 9 წელიწადი.

გვინდა, დიდი ილიას სიტყვებით მივმართოთ ამ არაკაცებს: „რა პირით დახვალთ ამ ქვეყანაზე?“

„ზაკვით სავსენო,
ავმორწმუნენო,
ის თქვენ სიტყვით გწამთ და საქმით
არა...“

სამწუხარო და დასანანია ისიც, რომ ამ ვაი-პოლიტიკოსებს მხარს უბამენ ზოგიერთი ტელე-რადიო, პრესის მესვეურნი.

არ შეიძლება გულისტკივილით არ აღვნიშნოთ ზოგიერთი ჟურნალისტისა და ცალკეული ტელევიზიების ვაი-„რუსთავი-2“-ის მიმბაძველების სიავე, რომლებიც არა მხოლოდ მხარს უჭერენ ვაი-ოპოზიციონერებს, აქეზებენ კიდეც მათ და თვალში ნაცარს გვაყრიან.

ამ დროს თვით მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკოსები, ევროსაბჭო, ამერიკა, მათი ლიდერები ფრთხილად, მაგრამ მაინც აღიარებენ საქართველოს წარმატებულობას, მთელ რიგ მიღწევებს, წინსვლას და თანამიმდევრულ აღმშენებლობას..

ჩვენ ერთხელ კიდევ მადლობას ვუხდით ქალბატონ ლონდა მდივანს და იმედს ვიტოვებთ, არა მარტო თბილისელები, სრულიად საქართველოს საღად მოაზროვნე ადამიანები მხარს დაუჭერენ ქალბატონ ლონდას და ერთად დადგებიან ქვეყნის ასაღორძინებლად, მისი უკეთესი მომავლის მისაღწევად და ქვეყნის, ხალხის მოღალატე ფარისევლებს სათანადოს მიუზღავენ.

**რუსთავის საპატიო მოქალაქეები:**
**დავით რეხვიაშვილი,**
**იუზა ჩუბინიძე,**
**ნიკო მენთეშაშვილი,**
**ვალერიან გრძელიშვილი,**
**გივი ჯახუა,**

**საქართველოს დამსახურებული ინჟინრები:**
**მურად გოგატიშვილი,**
**ზურაბ გიორგაშვილი.**



მიხეილ სააკაშვილის ბრალდების

# ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა არ იცის, მისი მოადგილე როგორ ატყუებს!



## ლია ელიავა:

# „საქართველოდან უკონტროლოდ გარბის კაპიტალი, რაც სავალუტო კრიზისს წარმოშობს“

**ის რომ, ეროვნული ბანკი პოლიტიზირებულია და ამ ბანკს შემორჩა ნაცმოძრაობის მოტრფიალე კადრები, ეს რეალობაა. ამიტომაც ჩემი მყარი პოზიციაა, რომ ეროვნული ბანკი დასაშლელი და ხელახლა დასაკომპლექტებელია კვალიფიციური და ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული კადრებით.**

**რეკორდულად გაუფასურებული ლარი სხვადასხვა სოციალურ წრეებს შორის ბრალდებების საფუძველი გახდა. ერთნი ლარის გაუფასურებაში მედიას და ეკონომიკის პროფილის სპეციალისტებს ადანაშაულებენ, მეორენი ლარის დაცემას ფეისბუქაჟიოტაჟს უკავშირებენ, მესამენი კი მიიჩნევენ, რომ ეკონომიკური პროფილის მინისტრები სიტუაციას ვერ მართავენ. მტყუან-მართლის ძიებაში ლარი გაუფასურების შარშანდელ ტემპს უსწრებს. ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა უკვე 2,78-იან ნიშნულს გადააბიჯა.**

**ეროვნული ვალუტის მდგომარეობის შესახებ საბანკო საქმის ექსპერტი ლია ელიავა გვესაუბრება.**

**— ლარის გაუფასურებამ შარშანდელ ტემპსაც გაუსწრო. ხომ არ უკავშირდება ეს არჩევნებს, მთავრობის ეკონომიკური გუნდის არასწორ პოლიტიკას, ან ფეისბუქაჟიოტაჟს, რაც, ალბათ, ამ თემის ირონიზებაა. სადამდე გასტანს ეს პროცესი?**

— ლარის არასტაბილურობის ყველაზე მთავარი მიზეზი არასწორი ეკონომიკური პოლიტიკაა, რომელსაც ახორციელებს მთავრობა და ეროვნული ბანკი. არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკაში, პირველ რიგში, ვგულისხმობ ღია ტიპის ეკონომიკის არსებობას, რომელიც ანგრევს ჩვენს ეკონომიკას. ღია ტიპის ეკონომიკა ჩვენისთანა ჩამორჩენილ, პატარა ეკონომიკას არ უნდა ჰქონდეს. მეორე მომენტია, რომ ჩვენს ეროვნულ ბანკს არ გააჩნია არც ფულად-საკრედიტო და არც სავალუტო პოლიტიკა, თუმცა კანონით მოეთხოვება ასეთის ქონა. გავიხსენოთ, როგორ ფორმირდება ლარი. ეს უკავშირდება ქვეყნიდან გასული და ქვეყანაში შემოსული ფულის წონასწორობის დაფუძნების ეფექტს. ანუ კომერციული ბანკები (და ახლა უკვე მიკროსაფინანსო ორგანიზაციები) ბლუმბერგში ვაჭრობისას ფასს ადებენ ვალუტას იმისთვის, რომ ეს ვალუტა გაიტანონ ან შემოიტანონ ქვეყანაში. ვინაიდან საქართველოში ეროვნულ ბანკს არ გააჩნია ფულად- საკრედიტო და მწყობრი სავალუტო პოლიტიკა, ქვეყანაში ფულის შემოსვლა და გასვლა აბსოლუტურად არ კონტროლდება. ასეთ დროს მნიშვნელოვნად იზრდება სპეკულაციური პროცესები, რომლებიც გავლენას ახდენს ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე.

**— ეროვნული ბანკი აცხადებს, რომ ეს ბუნებრივი პროცესია და ლარი მცურავ რეჟიმშია. სინამდვილეში, რითია საშიში ლარის კურსის მერყეობა?**

— ის, რომ ეროვნული ბანკი აცხადებს, თურმე ეს არის ბუნებრივი პროცესი და ლარი მცურავ რეჟიმშია, ეს ყველაფერი ძალიან კარგი იქნებოდა განვითარებულ ქვეყნებში. თუმცა ჩვენისთანა განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკისთვის ასეთი სიტუაციის დაშვება ზურგში დანის ჩარტყმაა. პრაქტიკულად, ჩვენ მთლიანად იმპორტზე ვართ დამოკიდებული.

**— რა გავლენა იქონია ლარის კურსზე არჩევნებმა და ეროვნული ვალუტის კურსის გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა?**

— საერთოდ, ეროვნული ბანკის საქმიანობის „საუკეთესო ტრადიციაა“ საკუთარი მარცხის სხვაზე გადაბრალება. იქნება ეს გინდაც ფეისბუქი, გინდაც ექსპერტები. ადრე ლარის კურსის რყევას აბრალებდნენ ექსპერტებს. ახლა, კიდევ ექსპორტიორებს აბრალებენ. მოკლედ, ყველაფერს იმიზეზებენ, გარდა ერთისა, რომ ვერ ფლობენ და ვერ მართავენ სიტუაციას. ეროვნულ ბანკს კანონში არა აქვს გაწერილი პასუხისმგებლობის დონე თავის ქმედებებსა და უმოქმედობაზე. კერძოდ, საუბარია ეროვნული ბანკის კანონით გაწერილ მთავარ ამოცანაზე — ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაზე.

თქვენ იცით, რომ ეროვნული ბანკი ამას ვერ ახერხებს და ვერც მოახერხებს იმ განცხადებების ფონზე, რომ ისინი თურმე არ მართავენ და არ ერევიან ვალუტის კურსის ფორმირებაში. არადა, სავალუტო კურსი პირდაპირ გავლენას ახდენს ფასების დონესა და, შესაბამისად, ინფლაციაზე. ამიტომ ეროვნული ბანკის პოზიციაზე ზედგამოჭრილია გამოთქმა, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. ეროვნული ბანკი თავიდან იცილებს ამ საკითხებს. რატომ აკეთებს ამას? ვის ინტერესში შედის ლარის კურსის ვარდნა? პირდაპირ გეტყვით, ეს მათ ინტერესშია, ვისაც ბევრი ფული გააჩნია და, ვისაც შეუძლია ლარის მერყეობაზე საკმაოდ მსუყე შემოსავალი მიიღოს.

**— გულისხმობთ იმ ფაქტს, რომ არჩევნების შემდეგ ცალკეულმა ბიზნესმენებმა დოლარის შეძენა დაიწყეს და ამით ლარის მიმართ ერთგვარი წნეხი განახორციელეს?**

— შეგახსენებთ, წლევანდელი ზაფხული ტურისტული თვალსაზრისით საკმაოდ შემოსავლიანი იყო. ბევრი უცხოური ვალუტა შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ, ვინაიდან საქართველოს ეკონომიკა სუსტია, ამ ოდენობის უცხოური ვალუტის დასაქმება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო. ამიტომაც დაიწყო ამ ვალუტის გატანა ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ფაქტობრივად, საქართველოდან უკონტროლოდ გარბის კაპიტალი. ეს იწვევს ლარის კურსის ვარდნას. კაპიტალი გადის არა მარტო ბიზნესმენების მეშვეობით, არამედ საკუთრივ ბანკების ინტერესებიდან გამომდინარე. კაპიტალის გაქცევა ქვეყნიდან წარმოშობს სავალუტო კრიზისს. ზუსტად იგივე სიტუაცია მეორდება, რაც იყო 2015 და 2016 წლებში. იმ პერიოდშიც ასე გარბოდა კაპიტალი. მართალია, იმ დროს ეროვნულმა ბანკმა დაგვიანებით, მაგრამ მაინც განახორციელა ხელოვნური ინტერვენცია ლარის კურსის მხარდასაჭერად, მაგრამ ახლა, როგორც ვხედავთ, ამას იგი არ აპირებს. ამის მიზეზი ისაა, რომ ეროვნულ ბანკს არ სურს სავალუტო რეზერვების ხარჯვა. თუ რატომ არ სურს, ამასაც ორი მიზეზი აქვს. პირველი მიზეზია, რომ მას არ სურს სავალუტო რეზერვების შემცირება, რადგან ჰგონია, რაც უფრო მეტი სავალუტო რეზერვი ექნება, მით უფრო მაღალი სტატუსი ექნება ამ დაწესებულებას. მეორე მიზეზია, რომ სავალუტო რეზერვები, პრაქტიკულად, მთლიანად გატანილია ქვეყნის ფარგლებს გარეთ უცხოეთში და დაბანდებულია ათასი ჯურის ფონდებში, კომერციულ ბანკებში, რაღაც ორგანიზაციების ფასიან ქაღალდებში. ანუ საქართველოს ეროვნული სიმდიდრე გატანილი და გაფლანგულია საზღვარგარეთ. როდესაც ქვეყანას უჭირს, ამ თანხის უკან დაბრუნება შეუძლებელია, ვინაიდან ფასიან ქაღალდს ვერ გაყიდი, ან გაყიდი ზარალში.



**— ეროვნულმა ბანკმა ინტერვენცია რომც გამოუშვას, გაქცეულ ლარს მაინც ვერ უშველის. ამიტომ ეკონომიკური პოლიტიკა ხომ არ არის გადასახედი?**

— სანამ გადაიხედება ეკონომიკური პოლიტიკა (რაც მართლაც აუცილებელია), მანამ ქვეყანა დაიღუპება. ჩვენ ვიცით, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გადახედვას დასჭირდება 2-3-5 წელიწადი. ამიტომ დღეს სასწრაფოდაა ინტერვენციები განსახორციელებელი იმისთვის, რომ ლარის კურსის ვარდნა შეჩერდეს, გამყარებაზე საუბარიც არ არის.

**— 2015 წელს ინტენსიურად საუბრობდნენ ეროვნული ბანკის მხრიდან საბოტაჟზე, რომ ლარის კურსის დევალვაცია სპეციალურად პოლიტიკური მიზეზით ხდებოდა.**

— საბოტაჟის თემა დღესაც უნდა გახდეს ინფორმაცია განსჯისთვის. ყველა უნდა დააკვირდეს ეროვნული ბანკის საქციელს და თავისთვის გადაწყვიტოს, რატომ იქცევა ასე ეროვნული ბანკი?!

**— მაგრამ ახლა არ არის გიორგი ქადაგიძე. მაინც ფიქრობთ, რომ „ქადაგიძე 2“-ის სიტუცია რჩება ეროვნულ ბანკში და ნაციონალების ინტერესები კვლავაც იკვეთება?**

— ის, რომ ეროვნული ბანკი პოლიტიზირებულია და ამ ბანკს შემორჩა ნაცმოძრაობის მოტრფიალე კადრები, ეს რეალობაა. ამიტომაც ჩემი მყარი პოზიციაა, რომ ეროვნული ბანკი დასაშლელი და ხელახლა დასაკომპლექტებელია კვალიფიციური და ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული კადრებით.

**— ასე რომ, კობა გვენეტაძის პარლამენტში დაბარებაშიც აზრს ვერ ხედავთ?**

— კობა გვენეტაძეს ინფორმაციას აწვდიან ქვედა დონეები, ანუ ბანკის ვიცე-პრეზიდენტები. ფაქტობრივად, ეს საკითხი წყდება ვიცე-პრეზიდენტის დონეზე. ის ვიცე-პრეზიდენტი კი, რომელიც კურირებს მაკროეკონომიკას, ქადაგიძის დროსაც მუშაობდა, ახლაც მუშაობს და მისი მუშაობის სტილი არ შეცვლილა. ასე რომ, ეროვნულ ბანკში კადრები ძირფესვიანად გადასახალისებელია. მარტო ერთი ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის შეცვლა ამინდს ვერ შექმნის.

**ესაუბრა**
**მანანა ნოზაძე**

# ტურიზმის ეროვნული დაჯილდოების მესამე ცერემონია

**6 დეკემბერს რუსთაველის თეატრში Welcome to Georgia! ტურიზმის ეროვნული დაჯილდოების მესამე ოფიციალური ცერემონია გაიმართება, სადაც ტრადიციულად გამოვლინდება გამარჯვებულები 20 განსხვავებულ ნომინაციაში. საქართველოს ბანკი უკვე მეორე წელია, პროექტის ოფიციალური მხარდამჭერია. ბანკის და პროექტის პარტნიორობის ფარგლებში შეიქმნა ორი ნომინაცია: „წლის ყველაზე სწრაფად მზარდი კომპანია მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართულებით“ და „საუკეთესო ქალი მეწარმე ტურიზმის ინდუსტრიაში“. ორივე ნომინაციაში გამარჯვებულს საქართველოს ბანკი განსაკუთრებულ საჩუქარს უმზადებს.**

**„Welcome to Georgia!“-ს პროექტში წელს მონაწილეობა 270-მა ნომინანტმა მიიღო, რომელთა შორის არიან საქართველოს ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში მომუშავე კომპანიები, საქართველოს ყველა რეგიონიდან.თითოეული ნომინანტი საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიის მიხედვით შეაფასა დაჯილდოების დამოუკიდებელმა ჟიურიმ, რომლებიც საერთაშორისო და ადგილობრივი ტურიზმისა და მომსახურეობის ბაზრის პროფესიონალებისგან შედგებოდა. პროექტის გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის გარანტად, უკვე მესამე წელია, ჟიურის შეფასებას ინდივიდუალურად ყველა ნომინანტისთვის ითვლის და აჯამებს პროექტის დამოუკიდებელი აუდიტორი „ბიდიო საქართველო“ და ავლენს ფინალისტებს და გამარჯვებულებს თითოეულ ნომინაციაში.**



◉ ვერაგობა და სიყვარული

# ბურჯანაძის ადგილას სააკაშვილი თუ იქნებოდა...

## ფიქრები პოზნერთან ნინო ბურჯანაძის საუბარზე



**გამორჩეული პროფესიონალები ყველა დარგში არიან. ასე რომ არ იყოს, კაცობრიობა ვერც განვითარდებოდა...**

სწორედაც ასეთი გამორჩეული პროფესიონალია რუსი ჟურნალისტი ვლადიმერ პოზნერი, რომელიც ამ დღეებში რუსეთში ჩასულ ნინო ბურჯანაძეს ესაუბრა პირველი არხის სტუდიაში.

პოზნერმა შიგადაშიგ არაერთ ჩამჭრელ ხერხს მიმართა კითხვის სახით, მაგრამ ნინო ბურჯანაძე ვერა და ვერ ჩაჭრა. ამ ხანგრძლივი და არცთუ იოლი საუბრიდან ერთხელ კიდევ გამოიკვეთა, რომ ნინო ბურჯანაძე, ძალიან ბევრი პოლიტიკოსისგან განსხვავებით, არა პრორუსული, არამედ პროქართული პოლიტიკოსია, რაც იმას ნიშნავს, რომ ნამდვილად იცის, თუ რა სჭირდება ამჟამად საქართველოს.

საქართველოს კი ბოლო წლების მანძილზე ძალიან ბევრი რამ სჭირდებოდა და სჭირდება როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად სულის მოსათქმელად, მაგრამ უპირველესი მაინც რამდენიმე ნაწილად დაყოფილი ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანებაა, რასაც ამ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხების სულიერი ერთიანობა უნდა უსწრებდეს. თუ არა ეს სულიერი ერთიანობა, თუ არა გულისგულში ავად ფერფლწაყრილი ისტორიული თანადგომის გაღვივება და თანდათან გაცოცხლება, მარტო დასავლეთის იმედად ყოფნა რეზინასავით გაწელავს დროში ჩვენთვის ესოდენ საჭირო პრობლემის გადაწყვეტას და ამდენ წელვა-წელვაში ადვილი შესაძლებელია, რომ საბოლოოდ გაწყდეს კიდეც, რაც ისევ და ისევ ჩვენი, ცოტა არ იყოს, პოლიტიკური სიბეცის ბრალი იქნება.

ჯერ კიდევ ჩემ ბავშვობაში ძველი ხალხისგან მომისმენია, შანავარი, ანუ ჭკვიანი ხბო, ორ დედასა სწოვსო... მე მგონი, ჩვენს ხალხს ეს ანდაზა ჩვენივე ხალხის ჭკუის სასწავლებლად შეუქმნია. მარტო დასავლეთისკენ დაჟინებული ცქერა და ჩრდილოეთისკენ ზურგშექცევით დგომა, არცრაგვარ ხეირს არ დაგვაყრის. ვიძახოთ რუსეთი ოკუპანტია, ხოლო თუ გვიშველის, ისევ ნატო გვიშველისო და ვიყოთ ასე გაურკვევლობაში. აქაოდა ოპოზიცია, კერძოდ, ნაციონალები გაგვინაწყენდებიან, თუ ოკუპანტს დაველაპარაკებითო, ჯორის სიჯიუტით ვაგრძელებთ რუსეთის მიმართ სხვათა იმედით წამგებიან ყელყელაობას და არც თვითონ აფხაზებთან, არც თვითონ ოსებთან არ ვაპირებთ გულის გადაშლას და მშვიდობიან მოლაპარაკებას.

აი, უწინარესად სწორედ ასეთი ფიქრები ამიშალა ნინო ბურჯანაძის საუბარმა თანამედროვე ჟურნალისტიკის მეტრთან — ვლადიმერ პოზნერთან. როგორც ზოგიერთმა სამშობლოს ტკივილით გულგასენილმა პოლიტიკოსმა თუ ჟურნალისტმა სამართლიანად აღნიშნა, ამ საუბარს მართლაც რაც შეიძლება ბევრი ქართველი უნდა გაეცნოს, რადგან ძალიან ბევრ საკითხს ეფინება ნათელი, თუნდაც იმას, რომ, მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა რუსეთის მხრიდან, სააკაშვილმა მაინც პირველმა გაასროლინა ტყვია ჩვენს ჯარისკაცს 2008 წლის 8 აგვისტოს. ანდა სააკაშვილის მიერ გადადგმული რომელი ერთი ანტიეროვნული ნაბიჯი ჩამოვთვალოთ. ეს მაშინ, როცა ეს ავადსახსენებელი მესამე პრეზიდენტი საქართველოსი (რაც ქართველი ხალხის ერთ-ერთ გამოუსწორებელ შეცდომად უნდა ჩაითვალოს) ახლა ფაროსანასავით შეესია თავის გზააბნეულ მომხრეებთან ერთად მეგობარ ქვეყანას და ანგელოზის ფრთებგამოსხმული, იმ ერთი ანდაზისა არ იყოს, კაცს სოფელში რომ არ უშვებდნენ და მამასახლისად დამაყენოთო, სააკაშვილსაც, დღეს თუ არა ხვალ, აუცილებლად გამოაძევებენ, ის კი, გინდათ თუ არა, პრემიერ-მინისტრად დამნიშნეთო, უცილობლობს, ვითა ჯორი.

თუმცა ერთი სასაყვედურო მაინც მაქვს თავად ნინო ბურჯანაძესთან, რომელიც ორჯერ ასრულებდა საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას თითქმის მთელი ორი თვე ერთხელაც და მეორედაც და კარგად, მთელი სიგრძე-სიგანით იცოდა, რა ვაჟბატონიც ბრძანდებოდა ეს გიჟი კარიერისტი სააკაშვილი და მაინც ერთგულება გამოიჩინა, არ წაართვა „სამეფო ტახტი“, არადა, ამ ნაბიჯით ნამდვილად არაერთი უბედურებისგან გადაარჩენდა თავის მრავალტანჯულ სამშობლოს.

თუ ერთი წუთით დავუშვებთ, რომ ასეთ ვითარებაში, ანუ ბურჯანაძის ადგილას თვითონ სააკაშვილი აღმოჩნდებოდა, რა თქმა უნდა, ბურჯანაძეს „სამეფო ტახტთან“ ახლოსაც არ გააკარებდა. ვერაგობა კი, ბატონო, მაგრამ სიყვარული, გარდა „სამეფო ტახტის“ სიყვარულისა, სააკაშვილისთვის ყოველთვის უცხო იყო და ახლაც კიდევ უფრო უცხოა.

ასე რომ, უთუოდ მხოლოდ და მხოლოდ პროქართულ პოლიტიკოსს და ჭეშმარიტად გამორჩეულ ქართველ მანდილოსანს პოზნერთან საუბარმა სულ ახალი შუქი მიანათა და ნინო ბურჯანაძე სულ ახალი სახით გამოჩნდა.

ამ საუბარში ერთგვარი პროგრამაც ძევს, ქვეყნის გადარჩენის პროგრამა.

**გურამ წიკლაური**

# საქართველოში შეგიძლიათ, ნებისმიერ კარზე დააკაკუნოთ და იქ გულუხვი მასპინძელი დაგხვდეთ...



აშშ-ის ყოველდღიური საერთო ეროვნული გაზეთი USA TODAY-ის კორესპონდენტი სუზან შაინი მკითხველებს ევროპული მოგზაურობის შთაბეჭდილებებს აცნობს. ერთ-ერთი ქვეყანა, რომელშიც იგი იმყოფებოდა, საქართველოა.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდს სტატიიდან:

## აუცილებლად მოინახულეთ ყაზბეგიც. იქ თქვენ ისეთ სასტუმროს ნახავთ, რომელიც პირადად მე მსოფლიოში ყველა სასტუმროს მირჩევნია: ძალიან მაგარი პანორამული ხედებია

**„ვაღიარებ, როცა პირველად გადავწყვიტე საქართველოში წავსულიყავი, კარგად არც კი ვიცოდი, სად მდებარეობდა ეს ქვეყანა. აღმოჩნდა, რომ ეს პატარა ქვეყანა კასპიისა და შავ ზღვებს შორისაა მოქცეული, ჩრდილოეთით მას რუსეთი ესაზღვრება, სამხრეთიდან კი — თურქეთი.**

**მენდეთ, რომ ღირს საქართველოს ნახვა.**

**პირველ რიგში რამდენიმე დღე ამ ქვეყნის დედაქალაქ თბილისში უნდა გაატაროთ. ვიწრო ქუჩა-ბანდებით და ავარიული, დანგრევის პირას მისული შენობები თბილისის ხიბლის მნიშვნელოვანი ნაწილია.**

**მეორე — როცა ცივი ამინდია, შეგიძლიათ ზოგიერთი ქართული კერძი მიირთვათ და გათბებით. ჩემი რეკომენდაციით, ერთ-ერთი ყველაზე გემრიელი საჭმელი ხაჭაპურია — პურის ცომით, ყველით და კვერცხით. ჩემი თბილისური მოგზაურობის დროს საკმაოდ ბევრი ხაჭაპური მივირთვი. როგორც მე ვფიქრობ, ყველაზე კარგ ხაჭაპურს რესტორან „ეზო“-ში ამზადებენ.**

**არ დაივიწყოთ ღვინო. ამ დღეებში დადგინდა, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა, საქართველოში ამ სასიამოვნო სასმლის წარმოება თურმე 8 ათასი წლის წინათ დაუწყიათ. რასაკვირველია, რადგან ახლა საქართველოში ზამთარი ახლოვდება, თქვენ ვერ მიიღებთ მონაწილეობას ვაზის მოსავლის აღებაში, სამაგიეროდ, ისიამოვნებთ მისი საბოლოო პროდუქტით, თუ საქართველოს ერთ-ერთ მეღვინეობის კომპანიას ეწვევით.**

**რობერტ კუპერი, თბილისში არსებული ბარის DiveXFabrika-ს მფლობელი, ღვინის დაგემოვნების მოყვარულებს გირჩევთ ეწვიოთ დედაქალაქიდან 70 კმ-ის მოშორებით მდებარე სიღნაღს, კომპანია „ხოხბის ცრემლებს“, რომელსაც „მაგიური ძალა განსაკუთრებით ზამთარში აქვს“: თქვენ სიღნაღიდან კახეთის ნაყოფიერ ველს ხედავთ, ჭაღარა კავკასიონის ფონზე და თავს გრძნობთ იქ მომხდარი ისტორიული მოვლენების მონაწილედ“.**

**და რასაკვირველია, საქართველოში თქვენი ყოფნა სრულყოფილი არ იქნება, თუ თვით კავკასიის ბუმბერაზ მთებს ახლოს არ ნახავთ: „მათი სილამაზე აუწერელია“, — ამბობს რობერტ კუპერი, - „იქ ყველაფერი უმაღლეს დონეზეა, სათხილამურო ინფრასტრუქტურის ჩათვლით, თან საკვირველ დაბალ ფასებში.. გუდაურს 22 სათხილამურო ტრასა აქვს და შეგიძლიათ, 20 დოლარად ისარგებლოთ. აღარაფერს ვამბობ ადგილობრივ მოსახლეობაზე — შეგიძლიათ, ყოველ სოფელში შეჩერდეთ, ყოველი სახლის კარზე დააკაკუნოთ და იქ თქვენ გულუხვი მასპინძლები გელოდებიან. მსოფლიოში ასეთ კარგ სათხილამურო ადგილს სხვაგან ვერსად ნახავთ“.**

**აუცილებლად მოინახულეთ ყაზბეგიც. იქ თქვენ ისეთ სასტუმროს ნახავთ, რომელიც პირადად მე მსოფლიოში ყველა სასტუმროს მირჩევნია: ძალიან მაგარი პანორამული ხედებია“,** — დასძენს ავტორი.

„USA Today“ (აშშ)

# ქართული კომპანიები „CASPIAN-BLACK SEA FORUM 2017“ მონაწილეობენ

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ინვესტიციის მიმართულების წარმომადგენლებმა რუმინეთში, ქ. ბუქარესტში გამართულ ღონისძიებაში „Caspian-Black Sea Forum 2017 — მიიღეს მონაწილეობა.**

**რუმინეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებულ ღონისძიებაზე, რომელსაც 40-ზე მეტი რუმინული კომპანია დაესწრება, 5 ქართული ექსპორტიორი კომპანიის პროდუქცია იქნება წარმოდგენილი: შპს „ზეარისი“, შპს „სნო“, შპს „ნატახტარი“, შპს „ნუგბარი“ და შპს „გემუანი“.**

**ღონისძიების ფარგლებში, 4 ქვეყნის საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და თურქმენეთის წარმომადგენლები დაინტერესებულ პირებს გააცნობენ თითოეული ქვეყნის ბიზნესგარემოს, საინვესტიციო კლიმატსა და იმ მექანიზმებს, რასაც სახელმწიფო სთავაზობს კერძო სექტორის წარმომადგენლებს.**

**„Caspian-Black Sea Forum 2017“ ფორუმის ფარგლებში სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ინვესტიციების მიმართულების წარმომადგენლებს დაგეგმილი აქვთ მნიშვნელოვანი ბიზნესშეხვედრები რუმინულ კომპანიებთან წარმოებისა და ბიზნესპროცესების აუთსორსინგის (BPO) მიმართულებით.**

**ესტონური გამოცემა „Postimees“-ი, საქართველოს ოკუპირებული რეგიონის – აფხაზეთის შესახებ (ავტორი იანუს პიირსალუს) მასალას აქვეყნებს, რომლის ქართულენოვან რეზიუმეს საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:**



# აფხაზეთში რუსეთის მიმართ შიში მატულობს, ამას ემატება ისიც, რომ იქ მცხოვრებ სომხებსა და რუსებს რუსეთის შემადგენლობაში ცხოვრება სურთ

აფხაზეთში რუსეთისადმი შიში მატულობს – იმ რუსეთის მიმართ, რომლის ფულზე და დახმარებაზეა დამოკიდებული 24 წლის წინათ მომხდარი ომის შედეგად საქართველოს შემადგენლობიდან გასული რეგიონის არსებობა..

შავი ზღვის პირას მდებარე აფხაზეთი, განსაკუთრებით კი მისი მსხვილი ქალაქები – სოხუმი და გაგრა, ბოლო ათი წლის განმავლობაში შესამჩნევად განვითარდნენ. აფხაზეთი დღეს რუსეთის ჩვეულებრივ რეგიონს მოგვაგონებს. ყველა მომსახურება და პროდუქტი რუსულია. შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთში უფრო უკეთესად ცხოვრობენ, ვიდრე რუსეთის ჩვეულებრივ რეგიონში. ვთქვათ, ისეთ კარგ გზატკეცილს, რომელიც აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროს დასავლეთიდან აღმოსავლეთით, 200 კილომეტრის გაყოლებით გასდევს, რუსეთში ვერც იპოვი. ჯერ კიდევ ათი წლის წინათ ეს გზა ორმოებით იყო სავსე, ინფრასტრუქტურა მოშლილი იყო. თვით დედაქალაქ სოხუმში ნორმალურ სასტუმროს ვერ მოძებნიდი. ახლა კი იმდენი კარგი სასტუმროა, რომ მათ საერთაშორისო საიტებზეც ნახავთ.

მოსკოვმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა საქართველო-რუსეთის 2008 წლის ომის შემდეგ აღიარა, მოგვიანებით იგივე გააკეთეს ნიკარაგუამ, ვენესუელამ, ნაურუმ. აფხაზეთი ფართობითა და მოსახლეობით ხუთჯერ მცირეა ესტონეთზე. დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ყველგან იგრძნობა, რომ ქვეყანა ვითარდება, ცხოვრება წინ მიდის... თუმცა ფაქტია, რომ ამ განვითარებას რუსეთის მტკიცე მხარდაჭერა განაპირობებს. **„რუსეთის ფინანსური დახმარება უფრო მეტია, ვიდრე ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც მხოლოდ ხუთ მილიარდ რუბლს (ანუ 72 მილიონ ევროს) შეადგენს“, – აღიარა Postimees-სთან ინტერვიუში „აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა“, 38 წლის დაურ კოვემ.**

რუსეთი აგებს გზებს და არემონტებს რკინიგზებს, აშენებს საბავშვო ბაღებსა და სკოლებს, ხსნის და აფინანსებს ახალ სამედიცინო დაწესებულებებს, ასევე პენსიას უხდის აფხაზეთის მოსახლეობას. ბოლო ცხრა წლის განმავლობაში რუსეთმა აფხაზეთში მინიმუმ 40 მილიარდი რუბლის (ანუ 580 მილიონი ევროს) ინვესტიცია განახორციელა, მაგრამ...

**თუ დამოუკიდებლობის აღიარებიდან პირველ წლებში აფხაზები რუსეთს მამა-მარჩენალად და მშველელად აღიქვამდნენ, დღეს, განსაკუთრებით კი ყირიმის მიერთების შემდეგ, აფხაზურ საზოგადოებაში, პირველ რიგში კი ინტელიგენციაში, უკვე შეშფოთება შეინიშნება, რუსეთს ჩვენ მიმართაც მსგავსი გეგმების ხომ არ აქვსო?**

**„ჩვენ გვეშინია, რადგან ვერ ვხვდებით – კარგია თუ ცუდი ჩვენთვის, რომ რუსეთი სულ უფრო მეტად შემოდის აფხაზეთში“,** – ძალიან ფრთხილად გამოხატა თავისი პოზიცია Postimees-სთან საუბარში ეკონომიკის ექსმინისტრმა და ცენტრალური ბანკის ყოფილმა ხელმძღვანელმა დაურ ბარღანჯიამ.

**„რუსეთში, ცხადია, არიან ძალები, რომლებსაც აფხაზეთის ინკორპორირება სურთ, განსაკუთრებით ყირიმის მოვლენების შემდეგ. მათ ჰგონიათ, რომ აფხაზეთის რუსეთთან მიერთება შეიძლება“,** – ამბობს უშიშროების საბჭოს ექსხელმძღვანელი, ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი სტანისლავ ლაკობა – თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ რუსეთი აცნობიერებს: **მსგავსი ნაბიჯი აფხაზეთის მიმართ მისთვის წამგებიანი იქნება. წარმოიდგინეთ, როგორი კრიტიკის ტალღა მოაწყდება უცხოეთიდან. დიახ, რუსეთი ხვდება, რომ ნეგატიური რეაქცია იქნება, რადგან სამხრეთ ოსეთის მიერთებაც ვერ გადაწყვიტეს“.**

სამხრეთ ოსეთი ფართობით აფხაზეთზე შედარებით უფრო მცირეა. ის საქართველოს, ფაქტობრივად, ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისიდან გამოეყო. სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთისაგან განსხვავებით, პრაქტიკულად მთლიანად რუსეთის ფინანსურ დახმარებაზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, არსებობს აგრეთვე ჩრდილოეთ ოსეთი, რომელიც რუსეთის შემადგენლობაშია, ამიტომ სამხრეთელ ოსებს თვითონ სურთ რუსეთთან მიერთება.

რუსეთის მიმართ აფხაზების მეტ-ნაკლებ შიშს ის გარემოება აძლიერებს, რომ მისი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს რუსეთში ცხოვრება სურს. როგორც ირკვევა, ესენი არიან აფხაზეთის ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები – სომხები და რუსები. მათ სურვილს აფხაზები ეწინააღმდეგებიან.

რაც შეეხება აფხაზეთის ოფიციალურ ხელისუფლებას, მთავრობა რუსეთის მხრიდან ვერავითარ საფრთხეს ვერ ხედავს და ვერ გრძნობს. ამასთან, პარლამენტართა უმრავლესობა რუსეთთან გაერთიანების წინააღმდეგია. **„დროდადრო გვესმის, რუსეთმა თითქოს უკვე მოახდინა აფხაზეთის ოკუპირებაო, მაგრამ ეს სისულელეა. რუსეთი და მისი არმია აფხაზეთში – ეს ჩვენი უსაფრთხოების გარანტიაა“,** – ამტკიცებს დაურ კოვე ინტერვიუში. მისი თქმით, რუსეთი აფხაზეთის ხელისუფლებაზე არანაირ ზეწოლას არ ახდენს: **„ჩვენ რუსეთის პროტექტორატი არ ვართ, თუმცა, რა თქმა უნდა, ვახდენთ ჩვენი პოლიტიკის კოორდინაციას რუს კოლეგებთან“.** დაურ კოვემ დაამატა, რომ ყოველი **სახელმწიფო თვითონ ირჩევს თავის ისეთ სტრატეგიულ პარტნიორს, ვისთანაც მას კომფორტული თანამშრომლობა სურს. მისი თქმით, „საქართველომ, მაგალითად, არჩევანი დასავლეთზე და ნატოზე გააკეთა“.**

რუსეთთან აფხაზეთს ზოგიერთი მოუგვარებელი საკითხი აქვს. მათ შესახებ აფხაზებს ღიად საუბარი არ სურთ, თუმცა ჩუმად ყოფნით პრობლემა არსებობას არ წყვეტს.

ერთ-ერთი ისაა, რომ უცხოელებს (რუსების ჩათვლით) აფხაზეთში აკრძალული აქვთ მიწებისა და საცხოვრებელი ფართობის ყიდვა. მიწა აფხაზეთში სახელმწიფოს ეკუთვნის.

რუსეთი წლების განმავლობაში არაოფიციალურ ზეწოლას ახდენს აფხაზეთზე და ითხოვს, რომ აფხაზებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების საპასუხოდ (პლუს დიდი სოციალური დოტაციები), სოხუმი რუსებისათვის მიწის და, საერთოდ, უძრავი ქონების მიყიდვას დათანხმდეს. მაგრამ აფხაზები სამართლიანად შიშობენ, რომ თუ მიწის მიყიდვაზე დათანხმდებიან, მაშინ მათზე უფრო მდიდარი რუსები მთელ აფხაზეთს იყიდიან და ადგილობრივებისათვის ფასები ფანტასტიკურად მოიმატებს. ისე, სოხუმმა ერთი საკმაოდ გამონაკლისი რუსებისათვის უკვე დაუშვა: **გაფორმებული სამხედრო შეთანხმების თანახმად, აფხაზეთში მყოფ რუს სამხედრო მოსამსახურეებს უფლება აქვთ, საცხოვრებლად დარჩნენ და მიწაც იყიდონ, აფხაზებთან თანაბარი უფლებით. სამწუხაროდ, Postimees-მა ვერც ერთ სოხუმელ ჩინოვნიკთან ვერ მოახერხა გაეგო, თუ რამდენმა რუსმა სამხედრო მოსამსახურემ ისარგებლა მინიჭებული უფლებით.**

**მეორე სადავო საკითხია აფხაზეთის კურორტების კონკურენცია რუსულ კურორტებთან. აფხაზური კურორტები სოჭთან და ყირიმთან შედარებით უფრო იაფია. ამიტომაც თვალში საცემი იყო ის ფაქტი, რომ რუსულმა მასმედიამ, როგორც კი სოხუმში ორი რუსი ტურისტის მკვლელობა მოხდა, აფხაზეთის „გაშავება“ დაიწყო. არადა, მსგავსი მკვლელობები რუსულ კურორტებზეც ხდება, მაგრამ მასმედია ჩუმად არის ხოლმე. „ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ მთელი ზაფხული პრაქტიკულად ტურისტების გარეშე დავრჩით. ეჭვი მაქვს, რომ ყველაფერი ხელოვნურად მოხდა. ალბათ, ამის მიზანი იყო ეჩვენებინათ – აფხაზეთში ისეთი სიტუაციაა, ძაღლი პატრონს ვერ ცნობსო“,** – ამბობს სოხუმელი ასლანი, რომელიც მცირე სასტუმროს მფლობელია.

დაურ ბარღანჯიას აზრით, მთავარი პრობლემა იმაშია, რომ აფხაზეთს, რუსეთის გარდა, არავითარი საგარეოპოლიტიკური და ეკონომიკური ალტერნატივა არ აქვს: **„ჩვენ რუსული ფულის გარდა სხვა ფულის მიღების საშუალება არ გვაქვს. ინვესტიციების მოზიდვა ჩვენთვის დიდი პრობლემაა. განა ესტონეთი პრობლემებს მხოლოდ თვითონ გადაწყვეტდა, უცხოური ინვესტიციები რომ არ ყოფილიყო?“,** – ამბობს დაურ ბარღანჯია და აზუსტებს: უცხოური ინვესტიციების საკითხში ყველაზე დამაბრკოლებელი ფაქტორია საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“.

თბილისი ოკუპირებულად მიიჩნევს აფხაზეთსაც და სამხრეთ ოსეთსაც. აღნიშნული კანონის თანახმად, ყოველ უცხოურ კომპანიას, რომელიც თბილისის უნებართვოდ აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გამოჩნდება, სისხლის სამართლებრივი დევნა ემუქრება. **„აბა მითხარით, რომელი უცხოელი ინვესტორი მოისურვებს ქართულ ბიუროკრატიასთან ბრძოლას, რომ რაღაც გახსნას აფხაზეთში?“,** – მსჯელობს დაურ კოვე, – **„ბუნებრივია, ჩვენ ვერც ერთ ინვესტორს გარანტიას ვერ ვაძლევთ, რადგან ამ საკითხში საქართველო ძალიან გვზღუდავს, ევროკავშირი კი მხარს თბილისს უჭერს. ეს ძალზე დისკრიმინაციული კანონია, ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის განვითარებას და არღვევს აფხაზეთის მოქალაქეების უფლებებს“.**

აფხაზეთში ერთადერთი უცხოელი ინვესტორები რამდენიმე თურქული კომპანიაა, რომლებიც ქვანახშირის მოპოვებას ეწევიან და ჯართს იაფად იძენენ. აფხაზეთში შედარებით უფრო მეტი ფული შედის რუსეთის მიერ მე-19 საუკუნეში კავკასიიდან თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთში გასახლებული აფხაზების (მოჰაჯირების) შთამომავლებისაგან, რომლებმაც სოხუმში რამდენიმე საკმაოდ სოლიდური სასტუმრო გახსნეს.

**აფხაზეთში, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების კვალობაზე, კლანთა (საგვარეულოების) გავლენაც მატულობს. საერთოდ, კლანების არსებობა დამახასიათებელია როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ კავკასიისათვის. ხელისუფლების ყოველი ცვლილება ცხოვრების ყველა სფეროში წმენდას იწვევს, რაც, თავის მხრივ, საპასუხო წინააღმდეგობას ბადებს. აფხაზეთში იმატა კორუფციამ. ადრე, როცა ქვეყანა ძალიან ღარიბი იყო, გასაყოფიც არაფერი იყო, ახლა სხვა სიტუაციაა: აქ უკვე არის ჩრდილოვანი ეკონომიკა.**

აფხაზეთი მსოფლიოში უკანასკნელი ადგილია, სადაც ჯერ კიდევ ძალაშია საბჭოთა პასპორტი, თუმცა იმპერიის გაქრობიდან უკვე 26 წელი გავიდა. საბჭოთა პასპორტით ადგილობრივ მცხოვრებლებს შეუძლიათ გადავიდნენ აფხაზურ-ქართულ საკონტროლო ხაზზე (მდ. ენგურზე) იმ პირობით, თუ ისინი 1991 წლამდე სასაზღვრო გალის რაიონში იყვნენ ჩაწერილი. თუმცა ამ პასპორტს დიდი ხნის სიცოცხლე აღარ უწერია – 31 დეკემბერს ეს დოკუმენტი აფხაზეთშიც გაუქმდება.

„Postimees“ (ესტონეთი)

## შოტლანდიაში აფხაზური მემორიალი აიღეს



**შოტლანდიაში აფხაზთა ხსოვნის მემორიალი აიღეს. ამის შესახებ ბიბისისის რუსული სამსახური იტყობინება.** 90-იანი წლების კონფლიქტში დაღუპულთა მემორიალი ქალაქ კილნმარნოკში 20 წელზე მეტი იდგა. მასზე აფხაზეთის სეპარატისტული დროშა იყო გამოსახული და ინგლისურ ენაზე ეწერა: **„მოძმე ქალაქ სოხუმის მცხოვრებლების ხსოვნას, რომლებიც 1992-1993 წლების ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს ემსხვერპლნენ“.** ბიბისის ინფორმაციით, მემორიალი ცოტა ხნის წინათ ბრიტანეთში საქართველოს ელჩმა თამარ ბერუჩაშვილმა ნახა და მისი აღების თხოვნით ადგილობრივ მთავრობას ოფიციალური წერილით მიმართა. მემორიალი საქართველოს ხელისუფლების თხოვნით აიღეს.

# ქართული არწივი რუსთაველზე

**თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმი, რომელიც ახლახან ხარაჩოებიდან გაათავისუფლეს, პირველი შენობაა თავიდან ბოლომდე ქართული — ქართველი კაცის იდეით, მისი ინიციატივით დაპროექტებული და მისი სახსრებით აგებული, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე აშენდა ამ ქუჩის ორსაუკუნოვანი (თუ უფრო ხანგრძლივი) ისტორიის განმავლობაში.**

**ეს მოღვაწე კაცი გია ჯოხთაბერიძეა, ბიზნესმენი და მეცენატი, რომლის მიერ განხორციელებული პროექტები, როგორც წესი, მასშტაბურობით, ორიგინალურობითა და აქტუალობით არის გამორჩეული და საზოგადო სიკეთეს ემსახურება.**

**არწივის ქანდაკებით მუზეუმის ფასადის დამშვენებაც მისი იდეაა, რომელსაც ხორცი შეასხეს სკულპტორებმა: დავით მინდორაშვილმა და ედუარდ შახნაზაროვმა. საუბარი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, მათთან მათსავე სახელოსნოში გაიმართა.**



**დავით მინდორაშვილი:** — ბატონმა გიამ მიგვითითა ვანის ნაქალაქარის გათხრების დროს აღმოჩენილ არწივის ფიგურაზე, როგორც პირველწყაროზე, რომლის ასაკი 2300 წელია, და გვთხოვა, გამოწვლილვით შეგვესწავლა თემა, გავცნობოდით ისტორიულ მასალებს, მათ შორის, საქართველოს ისტორიის მუზეუმის ექსპოზიციებში წარმოდგენილ ნიმუშებს და შეგვექმნა ისეთი ქანდაკება, რომელსაც წარსულსა და დღევანდელობას შორის გადებული ხიდის სიმბოლური დატვირთვა ექნებოდა.

**ედუარდ შახნაზაროვი:** — ჩვენი ნამუშევარი უნდა ყოფილიყო ისტორიულ დედანზე უფრო პლასტიკური, სიკეთით სხივმოსილი, რომის, ბიზანტიისა და გერმანიის იმპერიების ემბლემებისთვის დამახასიათებელი მრისხანებისგან დაცლილი, ახალგაზრდული ძალით სავსე, ამაყი და, რაც მთავარია, ქართული, ამასთანავე, მუზეუმის დანიშნულებასთან რეზონირებული.

**დავით მინდორაშვილი:** — ვფიქრობდით, ვმუშაობდით, ვეძებდით და ამ პროცესში ბატონი გიაც იყო ჩართული: მოგეხსენებათ, გარეშე თვალი უფრო კრიტიკულია და საღად შემფასებელი. საბოლოო ჯამში, ვფიქრობ, შევძელით ისეთი ქანდაკების შექმნა, რომელიც კარგად მოერგო თავის დღევანდელ დანიშნულებას.

**— მე თუ მკითხავთ, საქართველოს სიმბოლურ გამოსახულებადაც მოგვევლინა: ძლიერი ფრთები ისე აქვს გაშლილი, თითქოს გადააფარა ჩვენს ქვეყანას, იცავს, როგორც საკუთარ მართვეს.**

**დავით მინდორაშვილი:** — დაგეთანხმებით. თან უაღრესად კეთილია. ქართული ეკლესიების არქიტექტურა ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებებით უაღრესად მდიდარი და თავისებურია. არწივიც ბევრგან გვხვდება, მაგალითად, ოშკის კათედრალის ფასადზე, მაგრამ ეს ყველაფერი უფრო გვიანდელი პერიოდისაა, არწივის ფიგურა, რომელიც ჩვენთვის ამოსავალი წერტილი იყო, გაცილებით ადრინდელია; გამორჩეულია ჩამოსხმის ტექნოლოგიით, კარგად არის დეტალირებული, ბუმბულებიც კი ზუსტადაა დამუშავებული.

**— სად იქმნებოდა სკულპტურული ხელოვნების თქვენეული ნიმუში?**

**დავით მინდორაშვილი:** — აქ, ჩვენს სახელოსნოში.

(ეს **„აქ“, ანუ სახელოსნო ყოფილი შეროზიას, ამჟამად ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩის მე-6 სახლის სარდაფია, რომელშიც, კაცმა რომ თქვას, თაგვი კუდს ვერ მოიქნევს, ოთხივე კედელზე დამაგრებულ თაროებზე მჭიდრო რიგებად ნაძერწი და ნაქანდაკარი ფიგურებია განლაგებული, დეტალები ფიგურების, ხოლო 18-20 კვადრატული მეტრის ფართობზე გავლა ხამი ადამიანისთვის ისევე რთულია, როგორც სლალომის სპეციალური ტრასის დაძლევა ახალბედა მოთხილამურისთვის.**

— აქ? — არ ვმალავ გაოცებას.

*მასპინძლებს ეღიმებათ და წვრილად მიხსნიან, რომ „აქ“ იმ არწივის ცალი ფრთაც კი გაჭირვებით დაეტეოდა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ სრულად დაცლიდნენ სახელოსნოდ წოდებულ ამ სათავსს).*

**დავით მინდორაშვილი:** — „არწივი“ აქ გაკეთდა, პატარა (სიმაღლით ერთი მეტრი, ფრთები განშლაში 2 მეტრამდე), დედანი, რომელიც ახლა ბრინჯაოშია ჩამოსხმული და მუზეუმის ფოიეში დგას; ხოლო გადიდებული ვარიანტი თაბაშირში ჩამოვასხით ჩვენი მეგობრის სახელოსნოში, მარტყოფთან. ქანდაკება რომ გადიდდა, აღარ გამოდგა, რადგან ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის, ფრთების მოძრაობაც: ფაქტურა რომ იცვლება, მოძრაობაშიც კორექტივი უნდა შეიტანო.

**ედუარდ შახნაზაროვი:** — ნამუშევარი რომ გადიდდა, დაკონკრეტება დასჭირდა სათითაო ბუმბულსაც კი. თავი „მოვჭერით“ შვიდჯერ, სანამ საბოლოოდ მოვარგებდით.



ედუარდ შახნაზაროვი და დავით მინდორაშვილი

**დავით მინდორაშვილი:** — ვატრიალებდით, გარკვეული განწყობილებისთვის რომ მიგვეღწია — ავწევდით, დავწევდით. მთელი წელიწადი გაიწელა მუშაობა, სასურველი ეფექტისთვის რომ მიგვეღწია.

ბერძნებს პართენონზე იმხელა ფრიზები რომ აქვთ გაკეთებული, მათი დეტალები თავიდან ბოლომდეა დამუშავებული. ჩავთვალეთ, რომ უნდა გაგვეკეთებინა ისე, როგორც ჩვენი ძველი მასწავლებლები — ბერძნები — ქმნიდნენ.

**ედუარდ შახნაზაროვი:** — თითოეული ბუმბული გავაკეთეთ მაღალი რელიეფით, შორიდან კარგად რომ გამოჩნდეს, მათ შორის ჩრდილი უნდა ჩავარდეს, ფრთები არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც ერთიანი სიბრტყე. ქანდაკებას თავისი კანონები აქვს.

ამასთან ერთად, ფერსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. „არწივი“ დაიჟანგა ისე, ძველი ბრინჯაო რომ იჟანგება, მაგრამ მომწვანო ფერი ცოტა შთანთქავს ფორმებს, ამიტომაც იყო საჭირო დეტალების ისე დამუშავება, როგორც მოგახსენეთ. ძალიან ვიწვალეთ, მაგრამ ბოლოს ჩვენვე მოგვეწონა: ასეთი და ამხელა არწივი საქართველოში არ გაკეთებულა.

**— ესე იგი, პირობითად რომ ვთქვათ, კამერული ნაწარმოებიდან მონუმენტური ხელოვნების ნიმუშად გარდაიქმნა.**

**დავით მინდორაშვილი:** — ქანდაკება მაშინ არის საინტერესო, გარკვეული იდეების ნაკრები თუა. ეგვიპტური ქანდაკების ნატეხშიც კი ჩანს ის ძალაუფლება, რომლისთვისაც არის შექმნილი. „არწივშიც“ უნდა შეკრებილიყო ჩვენთვის საინტერესო იდეები: იმ მისწრაფებათა გამომხატველი უნდა ყოფილიყო, რომლისთვისაც იბრძოდნენ ქართველთა თაობები.

უაღრესად კმაყოფილი ვართ იმით, რომ ყველამ, ვინც ეს ქანდაკება ნახა, მასში რაღაც თავისი ამოიკითხა. იმასაც გეტყვით, რომ „არწივი“, სხვა (უცხოური) არწივების მსგავსად, ტაბაკასავით არ არის გაბრტყელებული — ნამდვილი ქანდაკებაა.

**— ხელოვანისთვის თავისი ნამუშევრის საჯაროდ გამოტანა ზეიმია. თქვენი ქანდაკების მუზეუმის ფასადზე აღმართვა იყო ზეიმი?**

**დავით მინდორაშვილი:** — ამ ქანდაკებაზე მუშაობა იმდენად რთული იყო, რომ უფრო ომს ჰგავდა, ვიდრე შემოქმედებით შრომას. თავიდან მძიმე, რუტინული საქმეა, მაგრამ, როცა დავამთავრეთ და დავდგით, ედიკას ვუთხარი, შახნაზაროვს: ახლა უკვე შეგვიძლია საფლავებში ჩავწვეთ, რადგან რაღაც გამოგვივიდა-მეთქი.

**ედუარდ შახნაზაროვი:** — შენობის ფასადზე ატანა სამუშაო პროცესი იყო ჩვეულებრივი, დაძაბული და, როგორც ყველა საქმის ფინალი, უაღრესად პასუხსაგები.

**— რომ დაიდგა, შემდეგ?**

**დავით მინდორაშვილი:** — ო, მაშინ ვიგრძენით, რომ რაღაც გაგვიკეთებია. თან სად? რუსთაველზე, საქართველოს გულში, შენი ნამუშევარი ზემოდან გადმოგყურებს. ზოგჯერ, აქ რომ გავივლი, ეჭვიც კი მიჩნდება: მართლა შახნაზაროვისა და მინდორაშვილის გაკეთებულია?!

არ დაგიმალავთ, მიხარია.

იმასაც გეტყვით, რომ გამარჯვების პარკის წინ, მოედანზე, „მუსიკოსების“ შადრევანი რომ დგას, ისიც ჩვენია; ასევე, საბურთალოს II მიკრორაიონში ასასვლელ ბაღში — „ლომი“, ბათუმში „კოლიზეუმის“ სასტუმროს წინ ფიგურები და კიდევ ბევრი სხვაც ჩვენი ნამუშევრებია.

**— სწორედ თქვენს ერთობლივ შრომაზე უნდა გკითხოთ. ილფსა და პეტროვს, სატირიკოსებს, როცა ჰკითხეს, ერთად როგორ წერთო, მათ უპასუხეს, რომ მუშაობენ ცალ-ცალკე და, თუ მათი ნაწერების ცალკეული პასაჟები, ფიგურალური გამოთქმები და სხვა ამგვარი დეტალი ერთმანეთს დაემთხვა, იმავ წამს წაშლიან, რადგან ორჯერ გამეორებული, თუნდაც დამოუკიდებლად შექმნილი რამ, უკვე შტამპია და, მაშასადამე, არ ვარგა.**

**თქვენ როგორ მუშაობდით?**

**ედუარდ შახნაზაროვი:** — ჯერ იქიდან დავიწყოთ, რომ თანაკურსელები ვართ. ერთად შევიძინეთ ეს სახელოსნო.

**(— დიდებული შენობა!).**

— ერთად ვართ და ვმეგობრობთ, უკვე 40 წელიწადია, მაგრამ მიდგომა და ხელი მაინც სხვადასხვა გვაქვს. ამ შეკვეთას მარტო მე, დათო რომ არ ყოფილიყო, ხელს ვერ მოვკიდებდი. მინდორაშვილი ძალიან ძლიერი ანიმალისტია, უმაღლესი პროფესიონალი გახლავთ. მისი იმედით თავი გავყავი ამ ყულფში, მაგრამ რამდენს „ვესპორებოდით“ ერთმანეთს!..

**დავით მინდორაშვილი:** — ამ ბუმბულს აქ რა უნდა, სხვაგან უნდა იყოს... იყო ომი და ჩხუბი.

**ედუარდ შახნაზაროვი:** — ზოგჯერ მე გამქონდა ჩემი, უფრო ხშირად, „კანეჩნა“, დათო იმარჯვებდა, რადგან ამ საქმის დიდოსტატია.

**დავით მინდორაშვილი:** — რაღაც მომენტში მაინც ის იმარჯვებდა, ვინც ამ კონკრეტულ, მაგრამ საკამათო მიმართულებაში უფრო ძლიერი იყო.

მოკლედ, ვიცით, ვინ რისი გამკეთებელი ვართ და ვეუბნები: — მოდი, ედიკ, ჯიგარი ხარ!

თუ სიტუაცია გართულდებოდა, დავუძახებდით ჩვენს ძმაკაცს, ხელოსან პავლიკას, რომელსაც ქანდაკებასთან საერთო არაფერი აქვს, და ვთხოვდით „საქმის გარჩევას“.

**— პავლიკა თქვენი „არასამთავრობო ორგანიზაციაა“?**

— ასე გამოდის... ბოლოს და ბოლოს ყველაფერს მშვიდობიანად ვაგვარებდით.

**P.S. ამ ჩხუბსა და დავიდარაბაში, შერიგებასა და შეთანხმებაში, პავლიკას „გარჩევებში“, ძიებასა და მიგნებაში, მეყალიბეებთან ურთიერთობაში და კიდევ უამრავი წვრილმანის მოგვარებაში ამ ორმა კაცმა — მოქანდაკეებმა დავით მინდორაშვილმა და ედუარდ შახნაზაროვმა შექმნეს შედევრი.**

ჩვენს გაუგებარ დროში, როცა თითქოს მსოფლიოს ვართ მოდებული, საკუთარ დედაქალაქში კი ერთ შეკრულ წრეში ვტრიალებთ ისე, რომ რუსთაველზე მთელი წელიწადიც შეიძლება ვერ მოვხვდეთ, მაშასადამე, არც „ქართული არწივი“ გინახავთ. შეცვალეთ, გეთაყვა, ყოველდღიური მარშრუტი, გაიარეთ თბილისის ცენტრში, ცოტა ხნით მაინც დადექით პარლამენტის შენობის წინ და იქიდან შეხედეთ ფრთებგაშლილ არწივს, ძალა მოგემატებათ და წელში გაიმართებით.

მერწმუნეთ...



**არმაზ სანებლიძე**

## 305 მილიონით გაზრდილი ბიუჯეტი ლარის კურსზე არ იმოქმედებს

**ფინანსთა მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ 2017 წლის ბიუჯეტის 305 მილიონი ლარით ზრდა ლარის კურსზე არ იმოქმედებს. მისივე თქმით, ბიუჯეტის გაზრდა ვერ იმოქმედებს ვერც დაგეგმილი ინფლაციის დონეზე. გიორგი კაკაურიძის განცხადებით, დამატებული თანხა 2018 წელს დაიხარჯება. „ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდა 305 მილიონი ლარით მოხდება. თუმცა, ეს თანხა ემატება ბიუჯეტს 2018 წელს განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის. წელს ამ თანხის ხარჯვა არ მოხდება. თანხები მოხვდება საწარმოების ანგარიშებზე, შესაბამისად, თანხა არ დაიხარჯება მიმდინარე წლის განმავლობაში. საწარმოები დაიწყებენ სატენდერო პროცედურებს, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმება მოხდება, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე, თანხის ათვისება კი, 2018 წლიდან დაიწყება. შესაბამისად, წელს ეს თანხა ვერ იმოქმედებს ლარის კურსზე.**

**დაგეგმილი ინფლაციის დონეზე ნამდვილად არ ექნება გავლენა. ამ თანხების დიდი ნაწილი გათავისუფლდება 2018 წლის ბიუჯეტიდან. საბოლოო ჯამში, 2018 წელს დეფიციტის მაჩვენებელი არ გვეცვლება, პირიქით, ვამცირებთ; 3.4%-ია ახლა წარმოდგენილ ვარიანტში. მომდევნო წლის განმავლობაში დეფიციტის მაჩვენებელი შეადგენს 3%-ს. შესაბამისად, ამას უარყოფითი გავლენა ვერ ექნება ინფლაციის დონეზე და მაჩვენებელზე. ეს ციფრები, რასაც ვგეგმავთ გავლენით და შეთანხმებულია როგორც ეროვნულ ბანკთან, ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. მონიშნული ინფლაციის პროგნოზში ამ თანხების ათვისების მაჩვენებელიც გათვალისწინებულია“, — განაცხადა კაკაურიძემ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე**

# ძმები კარბელაშვილები – „კარბელაანთ კილოს“ დამცველი „მეციხოვნეები“

**თუ არა სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ-შეწირული ადამიანები, აქამდე პირისაგან მიწისა აღიგვებოდა ყოველგვარი ქართული, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ნიშანწყალიც არ დარჩებოდა თუნდაც მე-19 საუკუნის შემდეგ, იმ დროს, როცა საქართველოში მძვინვარებდა ცარიზმის რეაქციული, რუსიფიკატორული პოლიტიკა. ამ ეროვნულ საქმეში განსაკუთრებული როლი კარბელაშვილების საგვარეულოს მიუძღვის. ილია ჭავჭავაძის თაოსნობით გაშლილმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მათი სახით უმნიშვნელოვანესი მხარდამჭერნი და თანამებრძოლნი შეიძინა, არც ერთი მნიშვნელოვანი ეროვნული მნიშვნელობის წამოწყება არ შობილა ძმები კარბელაშვილების გარეშე. ისინი თბილისში დაფუძნებული ყველა ეროვნული მიმართულების საქმის არათუ აქტიური წევრები, არამედ მათი აღმსრულებლებიც იყვნენ.**

ისტორიული წყაროებით ძმები კარბელაშვილების წინაპრები ხმალაძეები ყოფილან. მათი პაპა, პეტრე ხმალაძე დედულეთში, სოფელ კარბში გაიზარდა, შემდეგ კი გორის მაზრის სოფელ ქვემო ჭალაში დაბრუნდა. იქაურმა მცხოვრებლებმა მას „კარბელა“ შეარქვეს. მანაც იმდენად შეისისხლხორცა ეს მეტსახელი, რომ შემდგომ გვარად გადაიკეთა. პეტრეს რამდენიმე ვაჟი ჰყავდა, მათში განსაკუთრებული ნიჭიერებით გრიგოლი გამოირჩეოდა. მას ცოლად ჰყავდა მეუფე სტეფანეს (ჯორჯაძე) ასული ანა.

შესანიშნავი უნარ-ჩვევების მქონე გრიგოლი ქართლ-კახურ სიმღერა-გალობაში მამის უცვლელი თანაშემწე გახდა, აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო კილოების ერთადერთი სრული მცოდნე იყო. ერთხანს ბოდბეში არსებულ სასულიერო სასწავლებელში ასწავლიდა სიმღერას. ამ სასწავლებლის მონახულებისას დიმიტრი ყიფიანმა ასეთი რამ თქვა: „გული ჩემი დასტკბა, რა ვიხილე ყოვლისა ძვირად დასაფასებელითა ღვაწლითა თქვენითა. სული ჩემი დასტკბა, რა ვისმინე გალობა ჩვენი ძველებური, თქვენის ზრუნვითა და მეცადინეობით განახლებული და საამოდ შეთანხმებული“. დეკანოზ გრიგოლის შრომა დედაქალაქშიც არ დარჩა შეუმჩნეველი. მის მიერ აღზრდილმა მოწაფეებმა სახელი გაითქვეს თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1860-იან წლებში, როდესაც დაისვა საკითხი ქართული საგალობლების გადარჩენისა და მისი ნოტებზე გადატანისა, გრიგოლმა განსაკუთრებული როლი შეასრულა. სამწუხაროდ, ბევრი საგალობლის ჩაწერა ვერ მოახერხა, თუმცა მამის დაწყებული საქმე ჩინებულად გააგრძელეს შვილებმა: მღვდლებმა ფილიმონმა, პეტრემ და ვასილმა (შემდგომ ეპისკოპოსმა სტეფანემ); დეკანოზებმა – პოლიევქტოსმა და ანდრიამ.

კარბელაშვილების საოჯახო გუნდი ხშირად გამოდიოდა ტაძარში , სადაც მამა გიორგი მწირველ მღვდლად მსახურობდა. მგალობელი ძმების დებიუტი 1864 წელს შედგა, როდესაც ვასილი ჯერ კიდევ 6 წლისა იყო. პირველ მაისს მათ ცხვილოს ციხის ახლოს იმღერეს ხალხური სიმღერები: „ყურშაო“, „ვინცა კაცია“, „ღიღინი“, „გვიბრძანე“, „ზამთარი“, „თამარ მეფე“, „შავლეგო“, „ესო მესო“ და სხვა. ზეიმზე მთელი საამილახვრო და საერისთავო ყოფილა თავშეყრილი.

ძმათაგან უფროსი, მღვდელი ფილიმონი (დაიბადა 1836 წელს), მგალობლის, მქადაგებლის და მოძღვრის ნიმუშად იყო მიჩნეული. დიდმა ილიამ მოთხრობა „გლახის ნაამბობში“ მოძღვრის სახით სწორედ მამა ფილიმონი გამოიყვანა. სამწუხაროდ, იგი ნაადრევად, 1879 წელს, 43 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია სამთავისის ტაძრის შესასვლელში.

ვასილ კარბელაშვილი (დაიბადა 1858 წელს) თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდიდანვე აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1882 წელს, მოსკოვში ჩადის და კონსერვატორიაში პროფესორ კოშკინთან განაგრძობს სწავლას. მას ძალიან სურდა კარგად დაუფლებოდა მუსიკალურ დამწერლობას, რათა შემდგომ ქართული საერო სიმღერები და საეკლესიო საგალობლები გადაეღო ნოტებზე და ამგვარად შემოენახა მომავალი თაობებისათვის. საქართველოში დაბრუნების შემდეგ საეკლესიო მსახურება დაიწყო, რადგან მიაჩნდა, რომ სამშობლოს სამსახური იმ ძნელბედობის ჟამს ანაფორით უფრო სასარგებლო და ნაყოფიერი იქნებოდა. ერთხანს მამა ვასილი ოჯახთან ერთად საქართველოდან გაასახლეს. გადასახლებაში, ის 1903 წელს ქალაქ შემახის მცხოვრებმა ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა, რა თქმა უნდა, ხელისუფლების დავალებით. თუმცა სასწაულით გადაურჩა სიკვდილს.

ძმები ვასილი და პოლიევქტოსი აქტიურად ჟურნალისტობდნენ ბუქარესტში გამომავალ ჟურნალ „Православный Восток“-ში. ხელს უწყობდნენ ჟურნალის არალეგალურ გავრცელებას საქართველოში. ეს გამოცემა გამოირჩეოდა მძაფრი ანტიიმპერიალისტური ხასიათით, მკაცრად ამხილებდნენ და აკრიტიკებდნენ საქართველოს ეგზარქოსისა და სხვა რუსი მოხელეების პოლიტიკის ნამდვილ არსს. მიუხედავად უამრავი დევნა-შევიწროებისა, კარბელაშვილები არ ანელებენ საქმიანობას. გარდა პუბლიკაციებისა, მკითხველს მიაწოდეს ათობით მნიშვნელოვანი გამოცემა, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს ქართული საეკლესიო გალობის სამი ტომი, რომელიც მრავალსაუკუნოვანი თვითმყოფადი, რვახმიანი გალობის არსებობის უტყუარ საბუთს წარმოადგენს.


კარბელაშვილების ოჯახი – ძმები მამასთან, მწირველ მღვდელ გიორგი კარბელაშვილთან ერთად

მამა გიორგის მესამე ვაჟს, დეკანოზ პილიევქტოს კარბელაშვილს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია XIX საუკუნის მეორე ნახევრის და XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის. დაიბადა 1855 წელს სოფელ ჭალაში, წარმატებით დაამთავრა ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ კი თბილისის სასულიერო სემინარია. იგი საეკლესიო მოღვაწეობას ეწეოდა თბილისსა და მარტყოფში, დიდი ხნის მანძილზე იყო სოფელ გურჯაანის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარი. შესანიშნავად იცოდა საქართველოს ისტორია, მისი მოამაგე და მკვლევარი იყო. ბევრი ხელნაწერი წიგნის კატალოგი შემოუნახა ქართულ ლიტერატურას, გადაწერა და აღნუსხა 2000-მდე სიგელ-გუჯარი, რომლებიც ამჟამად საქართველოს ცენტრალურ არქივში ინახება. 1889 წელს პოლიევქტოსმა შეისწავლა დავით გარეჯის მონასტრის წიგნსაცავი. მან მონასტერში 110 ცალი ხელნაწერი წიგნი აღმოაჩინა, რომელთა შორის 22 ცალი ტყავზეა დაწერილი. ამ წიგნებს ჰქონდა მინაწერები, რომლებიც გადმოწერა და შემდეგ მისი ფუნდამენტური ახსნა-განმარტება მოახდინა. მან შეადგინა სრული კატალოგი, რომელიც 1886 წლის 4 თებერვალს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა. აღფრთოვანებული ილია ჭავჭავაძე წერდა: **„ჯერ მარტო დავით გარეჯის მონასტერში ასზე მეტი წიგნი აღმოჩენილა, მათ შორის ზოგი იმისთანაა თავისი სიძველით, რომ თავისი მნიშვნელობით ფასდაუდებელია...“** დიახ, დიდი ილია აღფრთოვანებული იყო პოლიევქტოს კარბელაშვილით. მის არქივში დაცულია მრავალი საინტერესო მასალა, მათ შორის თვალსაჩინო მამულიშვილების – ექვთიმე თაყაიშვილის, ალექსანდრე ხახანაშვილის, თედო ჟორდანიას და სხვათა წერილები. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ მოღვაწეებთან: ილია ჭავჭავაძესთან, ალექსანდრე ყაზბეგთან, აკაკი წერეთელთან, ნიკო ნიკოლაძესთან, ივანე ჯავახიშვილთან, მოსე ჯანაშვილთან, კორნელი კეკელიძესთან და სხვებთან.

პოლიევქტოსი უდიდესი რუდუნებით ეპყრობოდა ქართული საერო სიმღერებისა და საგალობლების შესწავლას და აცხადებდა, რომ: **„კაცის მჭამელზე უარესია მომსპობი და შემცველელი ქართული საგალობლებისა და სიმღერებისა, უცხო იქნება იგი თუ შინაური. სამშობლო გალობისა და სიმღერის დაკარგვასა და შეცვლას მე ვადარებ სამშობლო ენისა და თვით სამშობლოს დაკარგვას“**. 1903 წელს პოლიევქტოს კარბელაშვილმა ზაქარია ფალიაშვილსა და ალექსანდრე ხახანაშვილთან ერთად იმოგზაურა სვანეთში სიმღერებისა და საგალობლების ჩასაწერად. მათ იქ აღმოაჩინეს და ჩაწერეს 100-ზე მეტი სიმღერა, რომლებიც ქართული ხალხური ფოლკლორის საგანძურს წარმოადგენენ.

პოლიევქტოსი იყო ალექსანდრე ყაზბეგის „მოძღვრის“ პროტოტიპის ბესარიონ ბერის ბიოგრაფი. ამის შესახებ აი რას წერს იგი: **„ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ქართველთა საყვარელ მწერალს ალექსანდრე ყაზბეგს ბესარიონის უბიწო ცხოვრებამ დააწერინა სახელოვანი „მოძღვარი“**.

დიდ საქვეყნო და საერო საქმეებს აკეთებენ გრიგოლ კარბელაშვილის დანარჩენი ვაჟებიც: დეკანოზი ანდრია (დაიბადა 1851 წელს) და მღვდელი პეტრე (დაიბადა 1860 წელს). ანდრია ძირითად დროს მამასთან ატარებდა. ეხმარებოდა მას ღვთისმსახურებაში და შემდგომ საეკლესიო მოვაწეობაც მამის ადგილზე გააგრძელა. იგი მოწამეობრივად აღსრულებამდე სოფელ მუხრანსა და ჭალაში საქმიანობდა. პეტრე საღვთისმსახურო წიგნების სანიმუშო ცოდნით გამოირჩეოდა, სანაქებო მედავითნე და ტიპიკონის საუკეთესო მცოდნე იყო. ადრეული ასაკიდანვე აქტიურად ეხმარებოდა მამასა და ძმებს სიმღერა-გალობათა მოძიებაში, მის დამკვიდრებასა და ფართოდ გავრცელებაში. ამ საგალობლებს მეორენაირად „კარბელაანთ კილოსაც“ უწოდებდნენ.

ძმები კარბელაშვილები უშუალოდ მონაწილეობდნენ 1917 წლის 12 მარტს სვეტიცხოვლის ტაძარში ისტორიული გადაწყვეტილების მიღებაში, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაში. ისინი იმავე წლის 8-17 სექტემბერს ორგანიზებულმა პირველმა საეკლესიო კრებამ საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრებად აირჩია.

მათ თავიანთი ცხოვრების რთულ გზაზე არაერთი წინააღმდეგობა, დევნა-შევიწროება და პირადი ტრაგედია გადაიტანეს, მაგრამ ყველაზე მძიმე და აუტანელი მათთვის მაინც 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა იყო. ყველაფერი ის, რასაც კარბელაშვილებმა მთელი სიცოცხლე შეალიეს, საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, სკოლებიდან განდევნეს სასულიერო სწავლება. საეკლესიო ქონება სახელმწიფომ ძალადობით დაისაკუთრა, სამღვდელოება კანონგარეშე გამოცხადდა. დაიწყო საშინელი რეპრესიები, დაჭერები, გადასახლებები, დახვრეტები. მამა ვასილმა სპეციალური წერილიც კი მისწერა სტალინს, სადაც იგი დაუფარავად ამხელდა და საყვედურობდა თავის ნამოწაფარს ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამო. 1924 წელს რეპრესიების მსხვერპლი შეიქნენ დეკანოზი ანდრია და მღვდელი პეტრე კარბელაშვილები. ისინი მხოლოდ იმიტომ დახვრიტეს, რომ უარი თქვეს ანაფორის გახდაზე და არ მიატოვეს თავისი სამწყსო.

მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბოლშევიკური მმართველობის პერიოდში, 1925 წელს, როდესაც აღდგა ბოდბის საეპისკოპოსო კათედრა, დეკანოზი ვასილ კარბელაშვილი ხელდასხმულ იქნა სტეფანე ეპისკოპოსად. მას არც კომუნისტური რეჟიმის დროს შეუწყვეტია ქართული საქმეების კეთება, ბოლომდე ერთგულად ემსახურა ეროვნული საუნჯეების გადარჩენას და დაცვას. გარდაიცვალა 1936 წელს. დაკრძალულია ნავთლუღის წმინდა ბარბარეს ეკლესიის გალავანში.

დეკანოზი პოლიევქტოს კარბელაშვილი ოჯახთან და შვილებთან ერთად დიდხანს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გურჯაანში. ისინი ცნობილი იყვნენ სასიკეთო და საქველმოქმედო საქმიანობით. ქართული ეკლესიის გულმხურვალე მსახური, ჩვენი ეროვნული სიმღერა-გალობის ჭირისუფალი და მეციხოვნე პოლიევქტოს კარბელაშვილი გარდაიცვალა 1936 წელს. დაკრძალულია ქალაქ გურჯაანში.

XIX-XX საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ასახვის დროს გვერდს ვერ ავუვლით ძმები კარბელაშვილების დიდ ღვაწლს და დამსახურებას ჩვენი ქვეყნის წინაშე. განუზომელია მათი როლი და მნიშვნელობა ქართულ-კახური სიმღერა-გალობის გადარჩენის, აღდგენის და დღევანდელამდე მოტანის საქმეში. ისინი სხვა ცნობილ მამულიშვილთა, მკვლევართა და საზოგადო მოღვაწეთა გვერდით მოხსენიებული არიან როგორც ენციკლოპედიებში, ასევე სამეცნიერო ნაშრომებში და მონოგრაფიული სახის ლიტერატურულ თხზულებებში, რაც მომავალ თაობას საშუალებას აძლევს სათანადო პატივი მიაგოს და გამორჩეული ადგილი მიაკუთვნოს მათ გვარსა და სახელს.

**2011 წლის 20 დეკემბერს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა სამშობლოსა და დედაეკლესიის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის ძმები კარბელაშვილები წმინდათა დასში შერაცხა:**

**დეკანოზი ანდრია და მღვდელი პეტრე – წმინდა მღვდელმოწამეთა სახელწოდებით.**

**ეპისკოპოსი სტეფანე, დეკანოზი პოლიევქტოსი და მღვდელი ფილიმონი – წმინდა აღმსარებელთა სახელწოდებით.**

**მათი ხსენება დაწესდა 6 სექტემბერს – დეკანოზ ანდრიასა და მღვდელ პეტრე კარბელაშვილების მოწამეობრივად აღსრულების დღეს.**



**გელა ქოქიაშვილი,**
**რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.**

ენგურს გაღმა

# თაგილონში სკოლის დახურვის შემდეგ მასწავლებელთა ნაწილი უმუშევარი დარჩა

**ოკუპირებული გალის რაიონის სოფელ თაგილონში საბაზისო სკოლის დახურვის შემდეგ მასწავლებელთა ნაწილი უმუშევარი რჩება.**

სოფელში მოქმედი ორი სკოლიდან ერთ-ერთი, სადაც მოსწავლეები ცხრა კლასის ჩათვლით იღებდნენ განათლებას, აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ რამდენიმე დღის წინათ დახურა. მიზეზად მოსწავლეთა სიმცირე დაასახელა. აქ ბავშვების საერთო რაოდენობა 23-ს არ აღემატებოდა. დასაქმებული იყო 12 პედაგოგი და 3 ტექნიკური თანამშრომელი.

როგორც რადიო „თავისუფლებას“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განათლების მინისტრის მოადგილე ბესიკ ოდიშარიამ განუცხადა, ახლა უკვე ყოფილი საბაზისო სკოლის 23 მოსწავლიდან 15 თაგილონის საჯარო სკოლაში, დანარჩენები კი მეზობელი სოფლის, ნაბაკევის, საჯარო სკოლაში გადაანაწილეს.

რაც შეეხება პედაგოგებს, **საუბარია სოფლების თაგილონის, ნაბაკევის, სიდისა და ფიჩორის საჯარო სკოლებზე, სადაც უნდა მოხდეს ამ მასწავლებლების გადანაწილება, მაგრამ ხუთი მასწავლებლის ბედი ამ დროისთვის გაურკვეველი რჩება. გარდა ამისა, ისინი ამბობენ, რომ აქედან ოთხი საპენსიო ასაკისაა და საპენსიო ასაკის მასწავლებლების დასაქმებაზე უარს ამბობენ. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, სკოლის დირექტორის ინფორმაციით, ისინი გადატანილია თაგილონის სკოლაში“.**



ბესიკ ოდიშარიას ინფორმაციით, სკოლის დახურვა მოსწავლეებს გადაადგილების მხრივ განსაკუთრებულ პრობლემას არ უქმნის, რადგან მეზობელი სკოლები ტერიტორიულად შორს არ არის. ბესიკ ოდიშარია აღსაზრდელებისთვის უფრო მეტ პრობლემად სწავლის პერიოდში სკოლის შეცვლაში ხედავს. მისთვის გაუგებარია, თუ რატომ მიიღო დე ფაქტო ხელისუფლებამ ასეთი გადაწყვეტილება სწავლის პროცესში, როცა შეეძლო ეს სასწავლო წლის დაწყებამდე გაეკეთებინა. ამასთან, ბესიკ ოდიშარია ადასტურებს, რომ გალის რაიონის სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტი დროთა განმავლობაში მცირდება. მიზეზად ოკუპირებული ტერიტორიის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქართულიდან რუსულ სწავლებაზე გადასვლას ასახელებს.

**სკოლების დახურვის ასეთი ტენდენცია ადრე არ შეინიშნებოდა. კი, ისინი ამბობდნენ, ნაწილი სკოლებისა უნდა გაუქმდეს და ა.შ., მაგრამ ეს პირველი შემთხვევაა, როცა აფხაზურმა ადმინისტრაციამ სკოლა დახურა...**

აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლის ამ აზრს არ ეთანხმება გალის სოფელ ნაბაკევში მცხოვრები რადიო „თავისუფლების“ რესპონდენტი. ქალბატონი, რომლის ვინაობასაც მისივე თხოვნით არ ვასახელებთ, სატელეფონო საუბარში ამბობს, რომ სკოლებში კონტინგენტის შემცირება რეგიონში არსებულ მძიმე სოციალურ პირობებს უკავშირდება:

**„კი, სწავლა უჭირთ ბავშვებს, ეს აშკარაა, მაგრამ უგებენ ერთმანეთს მოსწავლეები და მასწავლებლები, იმდენს არ ითხოვენ, როგორც, მაგალითად, ქალაქის სკოლებში, სადაც გაშანშალებული რუსული სწავლებაა. მიზეზია ის, რომ არავითარი შემოსავალი სოფელში არ გააჩნია ხალხს, თხილი არ არის, ფეიხოა არ არის. ხალხს ურჩევნია, წავიდეს და სადმე სამუშაო იშოვოს და რამით დააპუროს თავისი ოჯახი“,** — ამბობს რესპონდენტი.

კითხვაზე, იგეგმება თუ არა მსგავსი გადაწყვეტილების მიღება სხვა სკოლების მიმართ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში პასუხი არა აქვთ:

აფხაზეთის მთავრობის ინფორმაციით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე თაგილონის საბაზისო სკოლის დახურვის შემდეგ, საერთო ჯამში, 30 სკოლა დარჩა.

**თამარ ზანთარაია**

## ნაპოლეონის დაფნის გვირგვინის ოქროს ფრაგმენტი გაიყიდა



პარიზში ფონტებლოს სააუქციონო სახლში ოქროს დაფნის ფოთოლი გაიყიდა, რომელიც თავის დროზე ნაპოლეონ ბონაპარტის გვირგვინს ამშვენებდა. დეკორატიულ ელემენტში ანონიმმა კოლექციონერმა 735 ათასი დოლარი გადაიხადა. თანხა ლოტის საწყის ფასს 5-ჯერ აღემატება. ოქროს დაფნის ფოთოლთან ერთად აუქციონზე საფრანგეთის ყოფილი იმპერატორის კუთვნილი კიდევ 400-მდე ნივთი გამოიტანეს.

## ლენონის ნივთები გერმანიაში იპოვეს



100-ზე მეტი ნივთი, მათ შორის, მუსიკოსის სამი დღიური, ჯგუფ „ბიტლზის“ ჩანაწერები, ორი სათვალე, ნოტები და სხვ. 2006 წელს ლენონის ქვრივის, იოკო ონოს სახლიდან მოიპარეს. ისინი გერმანიის პოლიციამ ბერლინში ერთ-ერთ სახლში იპოვა. სახლის მფლობელი 58 წლის მამაკაცი ქურდობის ბრალდებით დააკავეს. ნივთების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ივლისში ბერლინის ერთ-ერთ სააუქციონო სახლში აღმოაჩინეს. სწორედ მაშინ დაიწყო გამოძიება. ჯერჯერობით უცნობია, როდის დაუბრუნდება ლენონის ქვრივს მეუღლის კუთვნილი ნივთები.

## ესპანელთა 71 პროცენტი კატალონიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგია

სოციოლოგიური გამოკითხვა კვლევითმა ცენტრმა MY World-მა ჩაატარა. რესპოდენტთა 71 პროცენტმა განაცხადა, რომ ესპანეთის ერთიანობის მომხრეა, 10 პროცენტის აზრით, კატალონიელებს ესპანეთის შემადგენლობიდან გასვლის უფლება უნდა მიეცეთ, 19 პროცენტს კი კითხვაზე პასუხი არა აქვს.



# ქართველი მეფეების მეტსახელები

**საქართველოს ისტორიაში დაახლოებით ოცამდე მეფეა, რომელსაც ხალხმა თუ მემატიანემ მეტსახელი შეარქვა.** ამ მეტსახელებიდან ზოგი მეფის ფიზიკურ მონაცემებს გამოხატავდა, ზოგი დამსახურებას და ასე შემდეგ. **მცირე, რეგვენი, დიდი, პატარა, ზაქიჭამია...** – ეს ქართველი მეფეების მეტსახელებია და ყოველი მათგანის წარმოშობას თავისი ისტორია აქვს.

თსუ-ს პროფესორი, ისტორიკოსი ბონდო კუპატაძე ამბობს, რომ მემატიანეს ახასიათებდა შეფასებითი დამოკიდებულება. წოდება **„დიდი“** ისტორიამ საქართველოში ექვს მეფეს მიანიჭა: ბაგრატ III-ს, დავით III ტაოს მეფეს, ბაგრატ V-ს, ალექსანდრე I-ს, სვიმონ ქართლის მეფესა და იმერეთის მეფეს, სოლომონს.

გვყავდა ასევე ქართლის მეფე ფარსმან ქველი. სიტყვა **„ქველი“დღეს** უფრო ქველმოქმედთან ასოცირდება, ადრე კი სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. ლეგენდარულ ეპითეტს „უშიში, ვითარცა უხორცო“ — მემატიანე სწორედ ფარსმანთან მიმართებაში იყენებს. მასავით ქველს უწოდებდნენ ფარსმანის სპასპეტს ფარნავაზსაც. ფარსმანი და ფარნავაზი გამორჩეული მეომრები იყვნენ: „მას ბრძოლასა შინა მოკლა ფარსმან მეფემან ჩვიდმეტი ბუმბერაზი სპარსთა, ხოლო სპასპეტმან მისმან ფარნავაზ მოკლა ოცდასამი“.

ისტორიამ შემოგვინახა რევის მეტსახელი — **მართალი**. ის თუმცა წარმართი იყო, მაგრამ „მოწყალე და შემწე ყოველთა ჭირვეულთა“. რევმა არმაზის კერპისთვის ბავშვების მსხვერპლად შეწირვა აკრძალა და ზვარაკი ცხვარ-ძროხით ჩაანაცვლა. როგორც მემატიანე ამბობს, „ამისთჳს-ცა ეწოდა მას რევ მართალი. და მეფობდა ესე რევ კეთილად, და მოკუდა რევ“.

მეფეს, რომელსაც ჩვენ ვახტანგ გორგასლის სახელით ვიცნობთ, სინამდვილეში სპარსული სახელი ვარან ხოსრო თანგი ერქვა. ქართველებმა მისი სახელი შეამოკლეს და ვახტანგად აქციეს. **გორგასალი** კი (ასევე სპარსულად) მგლისთავას ნიშნავს. მის მუზარადზე მგელი იყო გამოსახული და სპარსელები ომში ერთმანეთს გასძახოდნენ — მგლისთავას ერიდეო. ვახტანგს ერიდებოდნენ, რადგან გარდა იმისა, რომ კარგი მეომარი იყო, ფიზიკური მონაცემებითაც გამოირჩეოდა. მისი სიმაღლე ორ მეტრს აჭარბებდა. ბონდო კუპატაძის თქმით, გასათვალისწინებელია, რომ იმ ეპოქაში ადამიანის საშუალო სიმაღლე დღევანდელზე ბევრად ნაკლები იყო.



მეტსახელი ჰქონდა ვახტანგის შვილს, მეფე არჩილსაც — მას ხან **დაჩის,** ხანაც **დაჩი უჯარმელს** უწოდებდნენ. სოფელი უჯარმა მაშინ მეფეების რეზიდენციას წარმოადგენდა.

ზუსტად რა სიმაღლის იყო ერეკლე მეორე, არ ვიცით, ამის თაობაზე ცნობები არ შემონახულა, თუმცა ხალხმა მას **„პატარა კახი“** სწორედ ტანმორჩილობის გამო შეარქვა. იმავე მიზეზით ეწოდა „გოჩია“ გიორგი მეოთხეს. ბონდო კუპატაძე ამბობს, გიორგი გოჩია არაფრით გამორჩეული მეფე იყო და ხალხმა ამ მეტსახელში ტანმომცროობასთან ერთად, ალბათ, ესეც იგულისხმაო.

**„მოღვაწეობის ადგილთან არის დაკავშირებული კიდევ ერთი თიკუნი, ალასტანელი. გიორგი ალასტანელი სწორედ ამ სახელით დარჩა ისტორიაში. ალასტანი ჯავახეთში მდებარეობს“,** ამბობს ბონდო კუპატაძე:

წამებულის **სახელით მოიხსენიებიან არჩილი, დემეტრე, ქეთევანი და ლუარსაბი. მათგან დემეტრე თავდადებულადაც იწოდება და ის ერთადერთი მეფეა, რომელსაც ეს სახელი აქვს. ქართლის ცხოვრების მიხედვით, დემეტრეს „უწესო ქორწინების“ (სამი ცოლი ჰყავდა) გამო სასულიერო პირები მუდმივად ამუნათებდნენ, მაგრამ როცა ახალგაზრდა მეფემ მთიულეთში დამალვის ნაცვლად ყაენთან წასლვა გადაწყვიტა, აბრაამ კათოლიკოსმა ასეთი რამ თქვა: „ჩუენ ყოველნი, ეპისკოპოსნი, ვიტჳრთვთ ცოდვათა შენთა“.**

კიდევ უფრო მოულოდნელი იყო დემეტრეს საქციელი უშუალოდ სიკვდილის წინ. მან საკუთარი შვილი, დავითი, ხუტლუბუღას ჩააბარა, სწორედ იმას, რომელმაც დემეტრეს სიკვდილით დასჯას შეუწყო ხელი. ისტორიკოსი წერს, ხუტლუბუღამ ამას ვერ გაუძლო და ტირილი წასკდაო. აღსანიშნავია, რომ დემეტრესთვის თავის მოკვეთის შემდეგ იგივე მოვლენა განმეორდა, რაც ქრისტეს ჯვარცმისას: მზე დაბნელდა, „იყო ჟამი მეათე და მწუხრამდე შეიმოსა ბნელი“.

ასევე მხოლოდ დავითს ეწოდება ქართველი მეფეებიდან **აღმაშენებელი**. უფრო მეტიც, მისი სახელი („დავითიანი“) შერჩა დროშასაც, ხოლო მეფეს, რომელმაც „ვითარცა აღმაშენებელმან აღაშენა ქვეყანა“, ბრწყინვალე შეარქვეს — გიორგი V ბრწყინვალე.

ბონდო კუპატაძე მოგვითხრობს ასევე ტაშირ-ძორაგეტის მეფეზე, დავით ანჰოლინზე **(უმიწაწყლო).** მისი თქმით, დავით პირველს საკუთარი სამკვიდრო არ ჰქონდა, ტახტი უკანონოდ დაიკავა და უმიწაწყლოც ამიტომ ეწოდა.

გვყავდა ასევე ბაგრატ IV **უსინათლო** (თვალები დასთხარეს) და ბაგრატ II **რეგვენი**.

ბონდო კუპატაძე ამბობს: **„სიტყვა რეგვენი ძველ ქართულში სულაც არ იყო უარყოფითი მნიშვნელობის მატარებელი, – მხნეს, ვაჟკაცს ნიშნავდა. ბაგრატ II-მ ბრძოლაში ახალგაზრდული სიმხნევე აჩვენა, თუმცა უკვე მოხუცი იყო. ამიტომაც შეერქვა ეს თიკუნი“.**

ქართლ-კახეთის ბოლო მეფეს კი, გიორგი XII-ს, ხუმრობით **ზაქიჭამიასაც** ეძახდნენ. მას ძალიან უყვარდა მოლხენა და, განსაკუთრებით, ზაქის მწვადი.

**თეონა თოფურია**

# საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადებები

## ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს ბათუმის შემოვლითი გზის კმ-1+000 – კმ 13+325 მონაკვეთის მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე გოგიტა ბერიძის (პ/ნ 61004025276) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ს/კ 22.24.03.078 (მის: ხელვაჩაურის რაიონის, სოფელი ფერია) 676 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილი 53 კვ.მ-ს მიწის ფართობი და მასზე არსებული ნარგავები (შემდგომში-საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე გოგიტა ბერიძესთან (პ/ნ 61004025276) ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროროაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 16 ნოემბრის №1-1/496 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება ხელვაჩაურის რაიონის, სოფელი ფერიაში, მდებარე მოქალაქე გოგიტა ბერიძის (პ/ნ 61004025276) საექსპროპრიაციო ქონებაზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპრპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის (ლოტი 1 (კმ 0+000-კმ 5+800)) მშენებლობის პროექტს (შემდგომში-პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე ტელმან კორკოტაძის (პ/ნ 57001025640) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ს/კ 69.04.67.094 (მის: ხაშურის რაიონი, დაბა სურამი) 1785 კვ.მ-ს მიწის ნაკვეთის ნაწილის 238 კვ.მ-ის მიწის ფართობი და მასზე არსებული ნარგავები (შემდგომში-საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე ტელმან კორკოტაძესთან (პ/ნ 57001025640) ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროროაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 16 ნოემბრის №1-1/495 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება ხელვაჩაურის რაიონის, სოფელი ფერიაში, მდებარე მოქალაქე ტელმან კორკოტაძის (პ/ნ 57001025640) საექსპროპრიაციო ქონებაზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპრპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს ბათუმის შემოვლითი გზის კმ-1+000 – კმ 13+325 მონაკვეთის მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების ილია პარასკევოპულოს (პ/ნ 61003007975), ირინა პარასკევოპულოს, მარია პარასკევოპულოს (პ/ნ 61004043612), მილია პარასკევოპულოს (C/N AK5385088) და ქრისტინა პარასკევოპულოს (C/N AN6207875) თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ს/კ 22.24.03.421 (მის: ხელვაჩაურის რაიონის, სოფელი მნათობი, ქუჩა მე-4 №8) მთლიან 2502 კვ.მ მიწის ფართობი და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობა და ნარგავები (შემდგომში-საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქეებთან ილია პარასკევოპულოსთან (პ/ნ 61003007975), ირინა პარასკევოპულოსთან, მარია პარასკევოპულოსთან (პ/ნ 61004043612), მილია პარასკევოპულოსთან (C/N AK5385088) და ქრისტინა პარასკევოპულოსთან (C/N AN6207875) ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროროაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 16 ნოემბრის №1-1/496 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება ხელვაჩაურის რაიონის, სოფელი მნათობი, ქუჩა მე-4 №8-ში მდებარე მესაკუთრეების ილია პარასკევოპულოს (პ/ნ 61003007975), ირინა პარასკევოპულოს, მარია პარასკევოპულო (პ/ნ 61004043612), მილია პარასკევოპულოს (C/N AK5385088) და ქრისტინა პარასკევოპულოს (C/N AN6207875) საექსპროპრიაციო ქონებაზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპრპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს ქ. ქუთაისის ნიკეას ქუჩისა და ქუთაისის შემოვლითი ავტომაგისტრალის გეგუთის კვანძთან შემაერთებელი გზის სიგრძით 4,093 კმ რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების პროექტს (შემდგომში-პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია შპს „ფარშევანგი“-ს (ს/კ 212673301) (შემდგომში - კომპანია) საკუთრებაში არსებული 271კვმ. მიწის ნაკვეთი ს/კ 03.05.23.331 და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (მის: ქ. ქუთაისი ნიკეას ქუჩა №27 ნაკვეთი №1-1).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, კომპანიის წარმომადგენელთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების (ს/კ 03.05.23.331) მთლიან 271 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 16 ნოემბრის №1-1/494 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება ქ. ქუთაისში ნიკეას ქუჩა №27 ნაკვეთი №1-1 მდებარე, მესაკუთრის შპს „ფარშევანგი“-ს (ს/კ 212673301) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 03.05.23.331) მთლიანი 271 კვ.მ ფართზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, შპს „ფარშევანგი“-ს საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მთლიანი ფართზე 271 კვ.მ. და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობზე ექსპრპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის (ლოტი 1 (კმ 0+000-კმ 5+800)) მშენებლობის პროექტს (შემდგომში-პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე ჯონჯი თათარაშვილის (პ/ნ 57001005052) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ს/კ 69.10.58.368, (ნაკვეთის წინა ნომერი 69.10.58.364. მის: ხაშურის რაიონი, სოფელ ქემფერში) მთლიანი 300 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე ასრებული ნარგავები (შემდგომში-საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე ჯონჯი თათარაშვილთან (პ/ნ 57001005052) ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროროაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 16 ნოემბრის №1-1/495 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება ხაშურის რაიონის, სოფელ ქემფერში, მდებარე მოქალაქე ჯონჯი თათარაშვილის (პ/ნ 57001005052) საექსპროპრიაციო ქონებაზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპრპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

◎ თაოზა

# გელა ბოლქვაძე მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორია



**საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრმა გელა ბოლქვაძემ (75 კგ) პოლონეთის ქალაქ ბიდგოშჩში დაწყებულ მსოფლიოს 23-წლამდელთა ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.**

ფინალისკენ მიმავალ გზაზე ბოლქვაძემ უკრაინელი პავლო მოლნარი (2:0), ყაზახი მირაშ ბარშილიკოვი (1:1) და ირანელი პაიამ აბდეჰ სალეჰ ბოვერი პაიანი (2:1) ჩამოიშორა, გადამწყვეტ ბრძოლაში კი თურქ ფაიტჰ ჩენგიზთან დამარცხდა (2:5).

85 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოჭიდავე გურამ ხეცურიანს პოდიუმამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა – რეპეშაჟის ფინალში მან აზერბაიჯანელ ისლამ აბასოვთან წააგო (1:2) და მე-5 ადგილი დაიკავა. ძირითად ბადეში გამოსვლა ხეცურიანმა ნახევარფინალში დაასრულა მომავალ ჩემპიონთან – უნგრელ ერიკ სზილვასისთან მარცხით (0:3), იქამდე კი სამი ეტაპი დაძლია: რუსეთის ნაკრების წევრ ჰაჯიმურად ჯალალოვს სასურველი ფრით აჯობა (1:1). ბელარუს ზახარ დმიტრიჩენკას 3:1 სძლია, ხოლო ყაზახ ხუსეინ მუცოლგოვს – 4:1.

იმავე დღეს ხალიჩაზე რამაზ ზოიძე (71 კგ) და კუკური კირცხალიაც (98 კგ) გავიდნენ, მაგრამ საპრიზო სამეულები მათ გარეშე შეივსო.

ზოიძემ ჩემპიონატი შვედეთის ნაკრების წევრ ხალიდ კერჩიევის იოლად ძლევით (11:2) გახსნა. შემდეგ ბელარუსი რუსლან აგამალიეუ ჩამოიცილა (4:1). მეოთხედფინალში კი თურქ მურატ დაგთან დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა (2:3) და ცოტა ხანში ბრინჯაოს შანსიც დაკარგა, რადგან დაგი ნახევარფინალს ვერ გასცდა.

კუკური კირცხალია ძირითად ბადეში უნგრელი ზოლტ ტოეროეკისა (5:1) და ამერიკელი ბლეიკ რილეი სმიტის (10:4) ძლევის შემდეგ მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონთან – რუს ალექსანდრ გოლოვინთან ველარას გახდა (0:4). „ბრინჯაოს ნახევარფინალში" კი ბელარუს ბოპემბე არსენ სიჩევთან დამარცხდა (2:7) და საბოლოოდ მე-7 ადგილი დაიკავა.

**მანუჩარ გიორგაძე**

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

# „ბორჯღალოსნები" სიმბოლურს გაუშინაურდნენ

**სხვადასხვა ავტორიტეტული სარაგბო და სპორტული გამოცემების სიმბოლურ ნაკრებებში, ახალი ზელანდიელი, სამხრეთ აფრიკელი, ავსტრალიელი, არგენტინელი, ინგლისელი, ირლანდიელი, ფრანგი, უელსელი და შოტლანდიელი ვარსკვლავების გვერდით, სულ უფრო ხშირად ჩნდებიან „ბორჯღალოსანი" ვარსკვლავები.**

ევროპაში საშემოდგომო ტესტ-მატჩების მეორე კვირა მიილია და ქართველი მორაგბეები სიმბოლურ XV-ში თუ „უახლოეს რეზერვში" ზედიზედ მეორე კვირაა ხვდებიან.



თუ 11-12 ნოემბრის თამაშების შემდეგ, ფულბეკის პოზიციაზე ბორჯღალოსანთა სასტარტო შემადგენლობაში პირველად მოთამაშე სოსო მათიაშვილი (კანადასთან 34 ქულის შემოქმედი) SkySports-ისა და Telegraph-ის სიმბოლურის ძირითადში, ხოლო Planetrugby-ის „თადარიგში" იყო, 18 ნოემბერს „პრინსიფალითიზე" უელსთან გამართული ომის შემდეგ, SkySports-მა ბურჯი ლევან ჩილაჩავა გამოარჩია:

„ქართულმა შერკინებამ, ჩილაჩავას მეთაურობით, სტუმრები ბოლო წუთამდე თამაშში დატოვა და თითქმის მიიყვანა დაუვიწყარ შედეგამდე. ეს იყო შესანიშნავი ძალისხმევა, რომელიც ნებისმიერ ქომაგს მოეწონებოდა" – წერია გამოცემის დახასიათებაში.

Planetrugby-მ პირველ ნომრებად ბორჯღალოსნების დასახელებისგან თავი ამჯერადაც შეიკავა, სამაგიეროდ სამი მათგანი უახლოეს რეზერვად მოიხსენია: 9 ნომერი ვასილ ლობჟანიძე ინგლისელი დენ ქერის; მარჯვენა ბურჯი ჩილაჩავა ავსტრალიელი სეკოპე კეპუს; და მარცხენა ბურჯი მიხეილ ნარიაშვილი ირლანდიელი სენ ჰილის შემცვლელად.

**კოზა კოზახიძე**

◎ გულახდილად

# ილიას ზუროსი: „ჩვენი პრობლემა გამოცდილების ნაკლებობაა, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლებთ"

**საქართველოს საკალათბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ილიას ზუროსმა გერმანიაში გამგზავრებამდე ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხა. ბერძენი სპეციალისტის განცხადებით, „ჯვაროსნებში" ახლა ბევრი ახალგაზრდა და გამოუცდელი მოთამაშეა, ამიტომ, იმის თქმა, რომ მოახლოებულ ორ შეხვედრას აუცილებლად მოვიგებთ, არასწორი იქნება.**

„კმაყოფილი ვარ იმ მოთამაშეების ძალისხმევით, ვინც გუნდში გვყავს. ისინი მაქსიმუმს აკეთებენ და არანაირი პრეტენზია არ მაქვს მათ მიმართ. მინდა, ყველამ გაიგოს, რა სიტუაციაში ვართ ახლა. კალათბურთელთა უმეტესობა გამოუცდელია, არასდროს უთამაშიათ იმ დონეზე, როგორზეც გერმანიისა და სერბეთის ნაკრებების კალათბურთელები თამაშობენ.



ამ მომენტში ისეთი ძლიერები არ ვართ, როგორებიც გვინდა, რომ ვიყოთ. ჩვენ გვყავს ახალგაზრდა მოთამაშეები, რომლებიც 100%-ით უნდა იყვნენ კონცენტრირებულნი თამაშის გაუმჯობესებაზე. ახალგაზრდებთან ერთად გამოცდილი მოთამაშეებიც გვყავს გუნდში და მათი ერთმანეთთან შეთამაშება არაა ადვილი. არ მინდა, რომ ვინმეს დიდი მოლოდინი ჰქონდეს ამ ორ მატჩთან დაკავშირებით. ჩვენ ვეთამაშებით ისეთ დიდ გუნდებს, რომლებიც ევრობასკეტზე გამოდიან, აქვთ ტრადიციები. მაგალითად, სერბეთი, რომელიც თითქმის ყოველთვის სამეულში ასრულებს ასპარეზობას. ჩვენთვის ეს უნდა იყოს გამოცდილება და უნდა გავაკეთოთ მაქსიმუმი. გვაკლია ორი ტრავმირებული მოთამაშე, გიორგი ცინცაძე და დუდა სანაძე, რომლებიც ამ ტურნირზე ძალიან დაგვეხმარებოდნენ და ასევე ბურჯანაძეც, რომელმაც ოპერაცია გაიკეთა. იმედია, მომავალში ყველაფერი უკეთესად იქნება. ახლა ისე უნდა ვიასპარეზოთ, როგორც შეგვიძლია.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ახლა ახალგაზრდა მოთამაშეების ჩართულობაა ჩვენთვის მნიშვნელოვანი და ასევე გამოცდილი მოთამაშეების კარგი გარჯა. უკვე დროა, რომ ახალი მოთამაშეები გამოჩნდნენ ნაკრებში. გულშემატკივრებს ვპირდებით, რომ მთელი გულით ვითამაშებთ, ბოლომდე ვიბრძოლებთ, მაგრამ გამოცდილების ნაკლებობა გვაქვს და ესაა დიდი პრობლემა", – განაცხადა ზუროსმა.

საქართველოს საკალათბურთო ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს 24 ნოემბერს ქემნიცში გერმანიასთან მატჩით დაიწყებს. სამი დღის შემდეგ კი ბელგრადში სერბეთის ნაკრებს დაუპირისპირდება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ფეხბურთი

# სასწაულებიც მეორდება



**ესპანური „სევილიას" ფეხბურთელმა ვისამ ბენ იადერმა „ლივერპულთან" ქამბექი იტალიურ „მილანს" მიუძღვნა. ფრანგმა ფორვარდმა შეხვედრის დასრულების შემდეგ ტვიტერის საკუთარ გვერდზე განათავსა ფოტო წარწერით, რომელზეც „სევილიასა" და „ლივერპულის" მატჩის ანგარიში (3:3) იყო გამოსახული:**

„მილან", იმედია, უყურე ამას", – დაწერა ბენ იადერმა.

ადვილი მისახვედრია, რომ „სევილიას" შემტევმა, რომელმაც აღნიშნულ შეხვედრაში დუბლი შეასრულა, ჩემპიონთა ლიგის 2005 წლის დაუვიწყარი ფინალი გაიხსენა. მაშინ „ლივერპული" „მილანთან" პირველი ტაიმის შემდეგ 0:3 აგებდა, მაგრამ საბოლოოდ ის თამაში მოიგო.

ამჯერად „სანჩეს პისხუანზე" ყველაფერი პირიქით მოხდა...

**გიორგი შოთაძე**

◎ ინტერნეტიდან

# წუწუნა ლიზ სოლარი

**სანამ საროს ფოთლები გასცვენია და სანამ ილაჯი გვაქვს, არ უნდა დავიზაროთ ფიქრი არგენტინელი ვეტერანი ფეხბურთელის სანტიაგო სოლარის დაზე, ფოტომოდელ ლიზ სოლარიზე, რომელიც დღენიადაგ იღვწის პოპულარობისათვის და ჰაიჰაი, რომ გამოსდის კიდეც...**

ამას წინათ ლიზ სოლარიმ ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში დაგეგმილი ფოტოსესიის წინ განაცხადა, რომ არგენტინაში მას ავიწროებენ, რადგან ბევრს შურს ლიზიკოს წარმატებები და ყველა ჩასაფრებულია, როდის გადაუბრუნდება ის კოხტა ფეხი, რომ კვანტი დაუდოს.




რამდენად გულწრფელია სანტიაგოს დაიკო – მოდით, ეს მის გულისთქმას მივანდოთ, თუმცა, როდესაც ადამიანს წუწუნი მოუხშირდება და ყველგან მტერი და დუშმანი ელანდება, უკვე საფიქრებელია, რომ წლებმა თავისი მუხთალი ხელი დაატყო და არავის უნდა გაგვიკვირდეს, მალე ერის გარყვნაზე და მასონების შემოსევაზე თუ დაიწყებს მოთქმას.

**როსტომ რაჭველიშვილი**

# გარდაცვლილ ქუთაისელთა გახსენების საღამო

**17 ნოემბერს ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში გაიმართა საზოგადოება „ძველი ქუთაისელების“ ინიციატივითა და ქუთაისის მერიის მხარდაჭერით ორგანიზებული „გარდაცვლილ ქუთაისელთა გახსენების საღამო“.**



საღამო მაღალმხატვრულ დონეზე წარიმართა. თეატრალიზებულ წარმოდგენაში მონაწილეობდნენ როგორც პროფესიონალი, ასევე ახალგაზრდული შემოქმედებითი კოლექტივები.

გარდაცვლილ ქუთაისელთა გახსენება დაიწყო იმ მოღვაწეებით, ვინც საფუძველი ჩაუყარა თეატრალურ ხელოვნებას. მათ შორის იყვნენ აკაკი წერეთელი, კოტე მარჯანიშვილი, კოტე მესხი. გაიხსენეს ისეთი დიდი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე, ცისფერყანწელები და მრავალი სხვა ღვაწლმოსილი პირი.

საღამოზე შესრულებული იყო დიდებული პოეტების — გალაკტიონის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, კოლაუ ნადირაძისა და სხვათა ლექსები.

თითქმის მთელი საღამოს მიმდინარეობას ფონად გასდევდა აკაკი წერეთლისა და სხვა ქუთაისელი პოეტების ლექსებზე შექმნილი სიმღერები.

მჯერა, რომ ასეთი საღამოები გაგრძელდება და გაიხსენებენ კიდევ მრავალ ღვაწლმოსილ ქუთაისელს.

მადლობა საზოგადოება „ძველი ქუთაისელების“ ხელმძღვანელებს ამ შესანიშნავი წამოწყებისათვის. მადლობა ორგანიზატორებს, მხარდამჭერებსა და ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ შესანიშნავ ღონისძიებაში.

**რევაზ არველაძე,**
**საქართველოს პარლამენტი წევრი**

**წინ, საქართველოვ!**

# „კლასიკოსების“ კლასიკა

**პოლონეთის ქალაქ ბიდგოშჩში მიმდინარე 23-წლამდელ მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატში შესანიშნავად იასპარეზეს ქართველმა „კლასიკოსებმა“. სოსო ჯაბიძის შეგირდებმა ერთი ოქროს და სამი ვერცხლის მედალი მოიპოვეს, რითაც საერთო გუნდურ ჩათვლაში (51 ქულა) პირველი ადგილი დაიკავეს. ჩვენებს ქულით ჩამორჩნენ რუსი ფალავნები, რომლებსაც მეორე ადგილი ერგოთ. 42 ქულით მესამეზე თურქები გავიდნენ.**

პირად პირველობაში შესანიშნავად იჭიდავა ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა შმაგი ბოლქვაძემ (66 კგ) — მან ყველა შეხვედრა მოიგო და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა. ქართველმა ჩემპიონმა ზედიზედ დაამარცხა ფინელი რამი პეტრი სირაე (4:2), ჩინელი გაოქან ჟანი (3:1), პოლონელი რომან პაჩურკოვსკი (2:0) და რუსეთის ნაკრების წევრი ალენ მირზოიანი (2:0). მსგავს წარმატებამდე თითო მოგება დააკლდათ გელა ბოლქვაძეს (75 კგ), ლაშა გობაძესა (80 კგ) და ზვიად პატარიძეს (130 კგ), რომლებიც მეორე საპრიზო ადგილებს დასჯერდნენ.





გელა ბოლქვაძემ უკრაინელ პავლო მოლნარს (2:0), ყაზახ მირაშ ბარშილიკოვსა (1:1) და ირანელ პაიამ აბდეჰ სალეჰ ბოვერი პაიანს (2:1) სძლია. გადამწყვეტი პაექრობა კი თურქ ფაიტჰ ჩენგიზთან დათმო (2:5). გობაძემ მოლდოველი ვიორელ ბურდუა (7:1), უკრაინელი ანდრეი ანტონიუკი (4:2) და შვედი ალექს მიშელ ბიურბერგ კესიდისი (2:1) ჩამოიშორა გზიდან, მაგრამ ფინალში თურქ ბურხან აკბუდაკთან ვერაფერს გახდა (1:2). ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონმა ზვიად პატარიძემ გადამწყვეტ ორთაბრძოლამდე ზედიზედ სამი მეტოქე დაჯაბნა - უნგრელი ფერენც ალმასი (8:0), ლიტველი მანტას კნისტაუტასი (5:1) და ირანელი ამინ მოჰამადზამან მირზაზადე (3:0). რუს სერგეი სემენოვთან კი ფინალში 3:5 დამარცხდა.

შაბათ-კვირას ხალიჩა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს დაეთმობათ.

**ლაშა დიდია**

# ინფორმაციის დაზუსტება

მიმდინარე წლის 15 ნოემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ №233–ში გამოქვეყნებულ საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციაში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ხობი-საჯიჯაო-ლესიჭინეს საავტომობილო გზის კმ25+400-ზე მდ. ხობისწყალზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა და ექსპლუტაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა დანიშნული იყო 2018 წლის 11 იანვარს 15:00 საათზე, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში.

| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქი ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა, N128, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, |

| | | |
|---|---|---|
| | | მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა, N128 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 32 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 216 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 27 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 25 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 25 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 25 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №14** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenses@nea.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; |
| | | გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქი ქუთაისი, მეოთხე სექტორი, ნაკვეთი N1 (30/35), (ნაკვ.N1), მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 365 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი ქუთაისი, მეოთხე სექტორი, ნაკვეთი N1 (30/35), (ნაკვ.N1) |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 12 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 206 ლარი |

| | | |
|---|---|---|
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 27 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 25 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 25 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 25 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 15** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenses@nea.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში |
| | | მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწყობა.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქი ზუგდიდი, თეატრის ქუჩა, N2, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 730 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი ზუგდიდი, თეატრის ქუჩა, N2 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 24 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 219 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 27 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 25 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 25 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 25 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**საქმე № 1/64-2017**

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

ქ. თბილისი 15 ნოემბერი 2017 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი"**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **სერგო ბალახაშვილი, ვაჟა გოგრიჭიანი**

დავის საგანი: **ფულადი ვალდებულების შესრულება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2017 წლის 18 ოქტომბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი მოპასუხე სერგო ბალახაშვილისა და ვაჟა გოგრიჭიანის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 26 ივნისს შპს „ნოვა კრედიტსა" და სერგო ბალახაშვილს შორის დაიდო №061413330 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა" მსესხებელზე გასცა 1270 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 12 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაციელბულ დღეზე.

2014 წლის 26 ივნისს შპს „ნოვა კრედიტსა" და ვაჟა გოგრიჭიანს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ვაჟა გოგრიჭიანს სამჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის რამოდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ იმყოფება.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ვაჟა გოგრიჭიანს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ვაჟა გოგრიჭიანი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ იმყოფება, მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი კი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს არბიტრაჟის ვებგვერდზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ვაჟა გოგრიჭიანს (პირადი №35001080825) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.
2. ვაჟა გოგრიჭიანს განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხე, ვაჟა გოგრიჭიანს მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.
4. მოპასუხე ვაჟა გოგრიჭიანს ეცნობოს, რომ 2017 წლის 8 დეკემბერს 12:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელზე, ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით სერგო ბალახაშვილისა და ვაჟა გოგრიჭიანის მიმართ.
5. ვაჟა გოგრიჭიანს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.
6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.
8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

---

**საქმე №67-2017**

# დადგენილება

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „ბარისტერი XXI“-ს სახელით

**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

ქ. თბილისი 20 ნოემბერი 2017 წელი

არბიტრი: **ქრისტინა სტურუა**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ახალი კრედიტი"**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **ვახტანგ წაქაძე, ია ჩაჩუა, ეკატერიბე კობახიძე, მაკა კობახიძე**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს ,,ბარისტერი XXI“-ს მიერ 2017 წლის 23 ივნისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს ,,ახალი კრედიტი“-ს სარჩელი მოპასუხის ვახტანგ წაქაძის, ია ჩაჩუას, ეკატერინე კობახიძის, მაკა კობახიძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2016 წლის 22 აგვისტოს შპს ,,ახალი კრედიტ“-სა და ვახტანგ წაქაძეს, ია ჩაჩუას, ეკატერინე კობახიძეს, მაკა კობახიძეს შორის დაიდო №27480 სესხისა და თავდებობის ხელშეკრულება. შპს ,,ახალმა კრედიტ“-მა მსესხებელზე ვახტანგ წაქაძეზე გასცა 6500 (ექვსი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით სესხი, რომლის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2016 წლის 21 დეკემბერი

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

2016 წლის 22 აგვისტოს დადებული №27480 სესხისა და თავდებობის ხელშეკრულების თანახმად ია ჩაჩუამ, ეკატერინე კობახიძემ, მაკა კობახიძემ აიღეს ვალდებულება მთლიანად იყვნენ პასუხისმგებელნი შპს ,,ახალი კრედიტი“-ს წინაშე ვახტანგ წაქაძის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე ვახტანგ წაქაძეზე, ია ჩაჩუაზე, ეკატერინე კობახიძეზე, მაკა კობახიძეზე გადახდის დაკისრება.

მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე არბიტრაჟის მიერ გამოყენებული იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის თანახმად მოპასუხე ია ჩაჩუას აეკრძალა ანგარიშებზე ფულადი სახსრების განკარგვა ჯამურად 8299 (რვა ათას ორას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარის და 39 თეთრის ოდენობით, ხოლო თავდებ მაკა კობახიძეს აეკრძალა უძრავი ქონების რომლის საკადასტრო კოდი არის: 03.05.22.184.01.071 გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებით მოპასუხე **ვახტანგ წაქაძეს** ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არავინ არ იმყოფება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებით მოპასუხე **ეკატერინე კობახიძეს** ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არავინ არ იმყოფება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებით მოპასუხე **მაკა კობახიძეს** ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არავინ არ იმყოფება;

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე **ვახტანგ წაქაძეს, ეკატერინე კობახიძეს, მაკა კობახიძეს** მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოების შესახებ ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე არ იმყოფება, ხოლო მათი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით

გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მოპასუხე მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ. ,,ბარისტერი XXI“-ს დებულებით

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით

მოპასუხე **ვახტანგ წაქაძეს** პ/ნ 18001001368 **ეკატერინე კობახიძეს** პ/ნ 18001027656, **მაკა კობახიძეს** პ/ნ 18001001369 ეცნობოთ, რომ მათ წინააღმდეგ მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს ,,ბარისტერი XXI“-ს წარმოებაშია შპს ,,ახალი კრედიტი“-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

**ვახტანგ წაქაძეს, ეკატერინე კობახიძეს, მაკა კობახიძეს** განემარტოთ, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „ბარისტერი XXI“-ს, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გლდანი, მე-5 მ.კ.რ მე-6 კორპ. ბინა 125 ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, ,,არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს ,,ბარისტერი XXI“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

1. განემარტოთ მოპასუხეებს **ვახტანგ წაქაძეს, ეკატერინე კობახიძეს, მაკა კობახიძეს** რომ მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოაუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.
2. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მათზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
3. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკა“-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.
4. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქრისტინა სტურუა**

საქმე №62-2017

# დადგენილება

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „ბარისტერი XXI“-ს სახელით

## **საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

ქ. თბილისი 20 ნოემბერი 2017 წელი

არბიტრი: **ქრისტინა სტურუა**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ახალი კრედიტი”**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **თამაზ ლორთქიფანიძე, ლეილა კილასონია, ლუსია როგავა**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს ,,ბარისტერი XXI“-ს მიერ 2017 წლის 15 ივნისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს ,,ახალი კრედიტი“-ს სარჩელი მოპასუხის **თამაზ ლორთქიფანიძის, ლეილა კილასონიას, ლუსია როგავას** მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2016 წლის 09 აგვისტოს შპს ,,ახალი კრედიტ“-სა და **თამაზ ლორთქიფანიძეს, ლეილა კილასონიას, ლუსია როგავას** შორის დაიდო №27180 სესხისა და თავდებობის ხელშეკრულება. შპს ,,ახალი კრედიტ“-მა მსესხებელზე **თამაზ ლორთქიფანიძეზე** გასცა 800 (რვაასი) ლარის ოდენობით სესხი, რომლის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2016 წლის 22 ნოემბერი;

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

2016 წლის 09 აგვისტოს დადებული №27180 სესხისა და თავდებობის ხელშეკრულების თანახმად ლეილა კილასონიამ და ლუსია როგავაემ აიღეს ვალდებულება მთლიანად იყვნენ პასუხისმგებელნი შპს ,,ახალი კრედიტი“-ს წინაშე **თამაზ ლორთქიფანიძის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე **თამაზ ლორთქიფანიძეზე, ლეილა კილასონიაზე, ლუსია როგავაზე** გადახდის დაკისრება.

მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე არბიტრაჟის მიერ გამოყენებული იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის თანახმად მოპასუხე **მსესხებელს თამაზ ლორთქიფანიძეს** აეკრძალა უძრავი ქონების მდებარე მისამართზე ქალაქი ფოთი, ქუჩა მარჯანიშვილი, №11, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, დაზუსტებული ფართობი 938.00 კვ.მ შენობა-ნაგებობის ჩამონათალი; №1 განაშენიანების ფართი177.2 კვ.მ-ის 1.2 ნაწილის რომლის საკადასტრო კოდი არის 04.02.10.012 გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა და თავდებს ლუსია როგავას აეკრძალა ანგარიშებზე ფულადი სახსრების განკარგვა ჯამურად 1892 (ათას რვაას ოთხმოცდათორმეტი) ლარის და 79 თეთრის ოდენობით;

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებით მოპასუხე **თამაზ ლორთქიფანიძეს** ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არავინ არ იმყოფება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებით მოპასუხე **ლეილა კილასონიას** ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა მიმღებმა უარი განაცხადა გზავნილის მიღებაზე;

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებით მოპასუხე **ლუსია როგავას** ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არავინ არ იმყოფება;

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე **თამაზ ლორთქიფანიძეს, ლეილა კილასონიას, ლუსია როგავას** მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოების შესახებ ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე არ იმყოფება, ხოლო მათი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მოპასუხე მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს,,ბარისტერი XXI“-ს დებულებით

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე თამაზ ლორთქიფანიძეს პ/ნ: 29001007257 ლეილა კილასონიას პ/ნ 42001029062, ლუსია როგავას პ/ნ 62005018050 ეცნობოს, რომ მათ წინააღმდეგ მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს ,,ბარისტერი XXI“-ს წარმოებაშია შპს ,,ახალი კრედიტი“-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

თამაზ ლორთქიფანიძეს, **ლეილა კილასონიას, ლუსია როგავას** განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს ,,ბარისტერი XXI“-ს, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გლდანი, მე-5 მკ.რ. მე-6. კორ ბინა 125, ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, ,,არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს ,,ბარისტერი XXI“-ს, დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

1. განემარტოთ მოპასუხეებს **თამაზ ლორთქიფანიძეს** პ/ნ: 29001007257 **ლეილა კილასონიას** პ/ნ: 42001029062, **ლუსია როგავას** პ/ნ 62005018050 რომ მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.
2. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მათზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
3. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკა“-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.
4. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქრისტინა სტურუა**

საქმე №58-2017

# დადგენილება

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „ბარისტერი XXI“-ს სახელით

## **საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

ქ. თბილისი 20 ნოემბერი 2017 წელი

არბიტრი: **ქრისტინა სტურუა**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ახალი კრედიტი”**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **ეკატერინე რეკვავა, სილვა ნამოევი და ასია თურქაძე**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს ,,ბარისტერი XXI“-ს მიერ 2017 წლის 15 ივნისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს ,,ახალი კრედიტი“-ს სარჩელი მოპასუხის ეკატერინე რეკვავას, **სილვა ნამოევისა და ასია თურქაძის** მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2016 წლის 18 აგვისტოს შპს ,,ახალი კრედიტ“-სა და და **ეკატერინე რეკვავას, სილვა ნამოევსადა ასია თურქაძეს** შორის დაიდო №27399 სესხისა და თავდებობის ხელშეკრულება. შპს ,,ახალმა კრედიტ“-მა მსესხებელზე **ეკატერინე რეკვავაზე** გასცა 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით სესხი, რომლის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2017 წლის 15 აპრილი.

2016 წლის 18 აგვისტოს დადებული **№27399** სესხისა და თავდებობის ხელშეკრულების თანახმად **სილვა ნამოევმა და ასია თურქაძემ** აიღეს ვალდებულება მთლიანად იყვნენ პასუხისმგებელნი შპს ,,ახალი კრედიტი“-ს წინაშე **ეკატერინე რეკვავას** მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე **ეკატერინე რეკვავაზე, სილვა ნამოევსა და ასია თურქაძეზე** გადახდის დაკისრება.

მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე არბიტრაჟის მიერ გამოყენებული იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის თანახმად მოპასუხე **მსესხებელს ეკატერინე რეკვავას აეკრძალოს ანგარიშებზე ფულადი სახსრების განკარგვა ჯამურად** 1086 (ათას ოთხმოცდაექვსი) ლარის ოდენობით;

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებით მოპასუხე **ეკატერინე რეკვავას** ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არავინ არ იმყოფება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებით მოპასუხე **სილვია ნამოევს** ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არავინ არ იმყოფება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებით მოპასუხე **ასია თურქაძეს** ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე ადრესატი არ იმყოფება.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე **ეკატერინე რეკვავას, სილვა ნამოევსა და ასია თურქაძეს** მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოების შესახებ ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე არ იმყოფება, ხოლო მათ ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით

გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მოპასუხე მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს,,ბარისტერი XXI“-ს დებულებით

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე **ეკატერინე რეკვავას** პ/ნ: **39001030369,** სილვა ნამოევსა პ/ნ **01027085312** და ასია თურქაძეს პ/ნ **01011080066** ეცნობოს, რომ მათ წინააღმდეგ მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს ,,ბარისტერი XXI“-ს წარმოებაშია შპს ,,ახალი კრედიტი“-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

1. **ეკატერინე რეკვავას, სილვა ნამოევსა და ასია თურქაძეს** განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს ,,ბარისტერი XXI“-ს, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გლდანი, მე-5 მკ.რ მე-6 კორ. ბინა 125, ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, ,,არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს ,,ბარისტერი XXI“-ს, დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

2. განემარტოთ მოპასუხეებს **ეკატერინე რეკვავას, სილვა ნომოევსა და ასია თურქაძეს** რომ მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.
3. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მათზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
4. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკა“-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.
5. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქრისტინა სტურუა**

# ნუგზარ ვაწაძის მზით სავსე მუსიკა

**24 ნოემბერს საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის სარკეებიან დარბაზში გაიმართა ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნუგზარ ვაწაძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ალბომისა და დისკის პრეზენტაცია. მისი მოსწავლის, მუსიკოსისა და ისტორიკოსის ლევან მიზანდარის მიერ მომზადებული საიუბილეო ალბომი თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით და საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის დახმარებით გამოიცა.**

ნუგზარ ვაწაძის შემოქმედება ქართული მუსიკალური მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია, ის განკუთვნილია როგორც პროფესიული, ისე ფართო აუდიტორიისთვის. საიუბილეო ალბომი წარმოადგენს ქართული პროფესიული და კინომუსიკის შედევრების მონოგრაფიული ხასიათის კრებულს. შეგახსენებთ, ნუგზარ ვაწაძე ავტორია მუსიკის ცნობილი ფილმებისა და მულტფილმებისთვის, მათ შორის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „პიერი, მილიციის თანამშრომელი“, „ცისკრის ზარები“, „არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ“, „მაცივარში ვიღაც იჯდა“, „წარსული ყოველთვის ჩვენთანაა“, „ბომბორა“, „ო, მოდა, მოდა“, „ხელმარჯვე ოსტატი წყალქვეშ“ და მრავალი სხვა.




ალბომში შესულია ხელოვნების სასახლეში დაცული მხატვრული კინოაფიშების უნიკალური კოლექცია, დისკზე კი ეროვნულ არქივში დაცული კინომუსიკის უნიკალური ჩანაწერები.

**ავთანდილ ბექაური**

# ბუკინისტი იყიდის:



**მე-18-მე-19 საუკუნეში გამოშვებულ წიგნებს – 1500 ლარად, საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს – 200 ლარად, ძვირად იყიდის 1945 წლამდე გამოშვებულ ჟურნალებს, მისალოც ბარათებს, გრავიურებს, ნახატებს, ხელნაწერებს, პლაკატებს, საბავშვო წიგნებს, მოვერცხლილ ან ვერცხლის ჭურჭელს.**

**591-75-35-38.**

# ლოტოსის ტერფები



**XIV-XVII საუკუნეების ჩინეთში ლამაზი ქალის მომხიბვლელობის უპირველესი საწინდარი ფეხის პატარა ზომა იყო. 10 სანტიმეტრამდე სიგრძის ტერფს „ოქროს ლოტოსს“ ეძახდნენ, 13 სანტიმეტრამდე სიგრძისას – „ვერცხლის ლოტოსს“.**

სწორედ ამის გამო იყო, რომ 4-7 წლის გოგონებს ფეხებს დოლბანდით ისე მაგრად უკრავდნენ, რომ ძვლებს უმტვრევდნენ. ყველა თითს, გარდა დიდისა, იქამდე ღუნავდნენ, რომ მოჭერისა და მოტეხილობებისგან ხშირად ნეკროზი იწყებოდა და შემდეგ კვეთდნენ. სიარულის დროს გოგონა საშინელ ტკივილს განიცდიდა და მერე მთელი ცხოვრება გადაადგილება უჭირდა. მაგრამ, უბედურება ის იყო, რომ ფეხის ჩვეულებრივი ზომის მქონე ქალიშვილს შეიძლებოდა საქმრო ვერ ენახა: თუკი გაიგებდა, რომ საცოლეს „სილამაზის სტანდარტისგან“ განსხვავებული სიგრძის ტერფი აქვს, მამაკაცს ასეთ ქალზე დაქორწინებაზე უარის თქმა შეეძლო.

ამ წესმა მე-20 საუკუნის შუა ხანებამდე იარსება, თუმცა კი მინის დინასტიის ეპოქაში უსაქმურობის, მაშასადამე არისტოკრატიზმის მეორე ნიშანი იყო ძალიან გრძელი, 2-25 სანტიმეტრამდე სიგრძის ფრჩხილები. მათ ლაქს უსვამდნენ, თითებზე ოქროს დამცავ შალითებსაც აცვამდნენ. ასეთი ფრჩხილების პატრონს, ცხადია, თავისით არაფრის გაკეთება, ცხვირის მოწმენდაც კი არ შეეძლო...

# აღარ დაახველებთ!

**წელიწადის ცივ სეზონზე ხშირად ვცივდებით, რასაც ხველა ახლავს. აფთიაქებში ხველების საწინააღმდეგო მრავალი საშუალება იყიდება, მაგრამ სასურველი ეფექტი არ გააჩნია. ამიტომ, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა ამ ხალხურმა რეცეპტმა გიშველოთ:**

– ერთი ჩაის კოვზ პიტნას დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი, ნელ ცეცხლზე 5 წუთით შედგით და შემდეგ გადაწურეთ. სითხეს დაუმატეთ ერთი ჩაის კოვზი თაფლი და მეოთხედი ლიმონის წვენი, ცხელი ნაყენი კი ძილის წინ დალიეთ.



– ეფექტის გასამტკიცებლად ცხელი კომპრესი გაიკეთეთ, რისთვისაც სამ წილ ცხელ წყალს ერთი წილი ვაშლის ძმარი დაუმატეთ. კომპრესი გულსა და ყელზე 15-20 წუთი უნდა გედოთ.

# გასაცინებელი ა(მ)ბები

## მოდასაყოლილთა შორის

**ელეგანტური ქალბატონი დაქალს ეუბნება:**

– რა საშინელებაა, წუხელ მესიზმრა, რომ გამზირზე დედაშობილა მივდიოდი, ოღონდ ყვავილებით მორთული დიდი შლაპა მეხურა.

– ეგ მართლა საშინელება დაგსიზმრებია. – თანაუგრძნო დაქალმა, – წლეულს დიდ შლაპას აღავინ არ იხურავს.

## ჭიანჭველები

**შვილიშვილმა, რომელიც საავიაციო სპორტს მისდევდა, გადაწყვიტა ბებიის ავიეტით გასეირნება. ბებია რის ვაივაგლახით მოკალათდა უკანა სავარძელში, შვილიშვილმა მოტორი ჩართო.**

– რას იტყვი, ბებო? – ჰკითხა მან. – თავს როგორ გრძნობ?

– ჩინებულად! – შესძახა ბებიამ. – მართლა საკვირველი რამ ყოფილა! ფანჯრიდან რომ ვიყურები, ადამიანები ნამდვილი ჭიანჭველები მგონია.

– ეჰ, ბებო, ბებო! – გაიცინა პილოტმა. – ეგენი მართლა ჭიანჭველები არიან. ჩვენ ჯერ არ ავფრენილვართ ჰაერში.

## ძიძგილაობა

**აღელვებული მეზობელი ყვირილით მიეჭრა მეზობელს:**

– შენი ბიჭი ისევ ეჩხუბა ჩემსას!

– რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ მე არ ვერევი მაგათ ძიძგილაობაში.

– შენ რაც გინდა, ის დაარქვი, – მხრები აიჩეჩა მეზობელმა. – მაგრამ შენი ბიჭი სასწრაფომ წაიყვანა.

## გადაამლაშა

**მავანმა გლეხმა ცხენის ყიდვა გადაწყვიტა და გამყიდველს მიადგა.**

– თქვენთვის მართლაც ჩინებული ცხენი მყავს, – უთხრა გამყიდველმა. – ფეხმარდი, 20 კილომეტრს ისე გარბის, წუთით არ ჩერდება.

– 20 კილომეტრს? არა, არ გამომადგება.

– რატომ?

– ჩემი სახლიდან ბაზრამდე 15 კილომეტრია, ესე იგი, ყოველთვის უკან 5 კილომეტრის ფეხით გამოვლა მომიწევს.




## ვინ დალია

**ერთ წვეულებაზე ცოლი დიდხანს აკვირდებოდა ქმარს და ბოლოს შეჰყვირა:**

– პირდაპირ საკვირველია, რომ ხუთმა სირჩამ ასე შეცვალოს ადამიანი.

– ბოდიშს ვიხდი, – მიუგო ცოტა არ იყოს, დაბნეულმა ქმარმა, – მაგრამ მე მხოლოდ ერთი სირჩა დავლიე.

– მართალი ხარ, ძვირფასო, – დაუდასტურა ცოლმა. – ხუთი მე დავლიე.

## თევზაობა

**– დღეს ჩემი ქმარი სათევზაოდ წავიდა, ასე რომ, დრო ბევრი გვექნება. შენ რა უთხარი შენს ცოლს?**

– დღეს სათევზაოდ მივდივარ-მეთქი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.7060; ევრო - 3.1766;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5827;
100 რუბლი - 4.5532; თურქული ლირა - 0.6841;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5928;
1000 სომხური დრამი - 5.6048.

**ამინდი 23 ნოემბრისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე -1, | დღე +9 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -1, | დღე +7 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +1, | დღე +9 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -5, | დღე +3 |
| თბილისი: | ღამე +3, | დღე +7 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge